პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 17 მარტი, 1946 წ. № 56 (7529). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

დიდი საბჭოთა სახელმწიფო. „პრავდის“ მოწინავე. (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. საინფორმაციო ცნობები კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს 1946 წლის 16 მარტის სხდომათა შესახებ; სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946-1950 წლებისათვის — სსრ კავშირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ნ. ა. ვოზნესენსკის მოხსენება; დეპუტატ მ. ს. გრეჩუხას სიტყვა; დეპუტატ ნ. მ. შვერნიკის სიტყვა; ეროვნებათა საბჭოს სხდომა. (1-ლი, მე-2 და მე-3 გვერდი).

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში. (1-ლი გვერდი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში. (მე-4 გვერდი).

ბულგარეთის სახალხო კრებამ მიიღო კანონი აგრარული რეფორმის შესახებ. (მე-4 გვერდი).

თემთა პალატაში შეიტანეს შეკითხვა ინგლისში ფაშისტური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. (მე-4 გვერდი).

დიდი საბჭოთა სახელმწიფო

მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღება მიპყრობილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიისადმი. საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მუშაობას თვალყურს ადევნებენ მილიონობით მშრომელნი, მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები. უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეების გადაწყვეტისას, განუწყვეტლივ გრძნობენ მთელი ხალხის ერთსულოვან მხარდაჭერას.

სესიის გუშინდელი სხდომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. მოსმენილ იქნა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ვოზნესენსკის მოხსენება სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. უმაღლესმა საბჭომ სრული ნდობა გამოუცხადა მთავრობას და დაავალა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს წარმოადგინოს წინადადებანი მთავრობის შემადგენლობის შესახებ. მიღებულია გადაწყვეტილება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ გარდაქმნის შესახებ.

საკითხებს, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია იხილავს, ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ისინი მოასწავებენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოსი, რომელმაც ღირსეულად გადაიტანა ომის ყველა განსაცდელი და უფრო ძლიერი და გამოწრთობილი გამოვიდა.

ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა დასახა ჩვენი სამშობლოს ომისშემდგომი განვითარების გზები, მოგვცა საბჭოთა ეკონომიკის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობის პროგრამა. ამ პროგრამით გათვალისწინებულია უახლოესი 15 წლის განმავლობაში მრეწველობის დონე ერთი სამად გადიდდეს ომამდელ დონესთან შედარებით და ამით ჩვენი ქვეყანა გარანტირებულ იქნას ყოველგვარი შემთხვევითობისაგან.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც გუშინ მთავრობამ უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად წარადგინა, სტალინური პროგრამის გრანდიოზული გამოხატულებაა, რომელსაც მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალე მოწონებით შეხვდა.

პირველი ომისშემდგომი ხუთწლედის ძირითადი სამეურნეო პოლიტიკური ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აღვადგინოთ ომისაგან დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე, ხოლო შემდეგ მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ ამ დონეს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946-1950 წლებისათვის ითვალისწინებს სამრეწველო პროდუქციის წარმოების თითქმის ერთნახევარჯერ გადიდებას ომამდელთან შედარებით, ამასთან პირველ რიგში უზრუნველყოფილ უნდა იქნას მძიმე მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა და განვითარება. უამისოდ შეუძლებელია სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის სწრაფი და წარმატებითი აღდგენა. უამისოდ შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

მიმდინარე ხუთწლედში ჩვენ უნდა მივაღწიოთ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღმავლობას, შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში მოხმარების ძირითადი საგნების სიუხვე, გადავაჭარბოთ სახალხო შემოსავლისა და სახალხო მოხმარების ომამდელ დონეს. უახლოეს დროში გაუქმდება საბარათო სისტემა და იგი შეცვლილ იქნება გაშლილი კულტურული საბჭოთა ვაჭრობით. ამ დარგში საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა ფართო მოხმარების საგნების წარმოების ყოველმხრივი გადიდების, საქონელზე ფასების თანმიმდევრული შემცირების, ფულის ტრიალისა და საბჭოთა მანეთის განმტკიცების პოლიტიკაა.

პირველი ომისშემდგომი ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობათა გამოყენებით უზრუნველვყოთ ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური პროგრესის სწრაფი და შეუჩერებელი განვითარება, არამარტო დავეწიოთ, არამედ უახლოეს დროში გავუსწროთ მეცნიერების მიღწევებს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ. ეს ძალუძს ჩვენს ხალხს, რომელმაც მსოფლიო მეცნიერებას მისცა პოპოვი და მენდელეევი, ჟუკოვსკი და ციოლკოვსკი და სხვა უდიდესი მეცნიერები, რომელთა აღმოჩენები ნამდვილი გადატრიალება იყო მეცნიერებაში და რომლებმაც ტექნიკური პროგრესის ახალი, მანამდე უცნობი გზები გაჭკაფეს. ყოველმხრივი დახმარება, რომელსაც ჩვენს მეცნიერებს განუწყვეტლივ უწევს საბჭოთა მთავრობა, ყველა პირობას ჰქმნის ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

1946-1950 წლებში მწყობრში უნდა ჩავაყენოთ აღდგენილი და ახალი საწარმოები 234 მილიარდი მანეთის ღირებულებისა. სახალხო მეურნეობაში ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა ხუთი წლის განმავლობაში 250 მილიარდ მანეთს შეადგენს. ამის შედეგად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდები არამარტო აღდგენილი იქნება, არამედ 1950 წელს 8 პროცენტით გადააჭარბებენ ომამდელ დონეს. კაპიტალური მშენებლობის ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის უნდა შეიქმნას მძლავრი სამშენებლო ინდუსტრია და უზრუნველყოფილ იქნას კაპიტალურ სამუშაოთა ყოველწლიური ზრდა დაახლოებით 12 პროცენტით.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებას და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვას.

იმისათვის, რათა ჩვენი ქვეყანა გარანტირებულ იქნას ყოველგვარი შემთხვევითობისაგან და აღკვეთილ იქნას ახალი აგრესიის ცდები, საჭიროა, რათა ჩვენი შეიარაღებული ძალები უფრო ძლიერი და მძლავრი იყვნენ.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ მიდის თავისი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გზით იმ გეგმების საფუძველზე, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში ეკონომიური განვითარების კანონების ძალა აქვს. საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობანი უზრუნველჰყოფენ ჩვენს ქვეყანას ეკონომიური კრიზისებისაგან, დეპრესიებისა და უმუშევრობისაგან. ეს უპირატესობანი შესაძლებლობას გვაძლევენ გადავჭრათ საბჭოთა კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა—დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურად, ე. ი. ერთ სულ მოსახლეობაზე სამრეწველო წარმოების ოდენობით.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მეცნიერული კომუნიზმის დროშით ჩვენ წავალთ უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისაკენ და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის განხორციელებისაკენ.

საბჭოთა ხალხმა უდიდესი ნდობა აღმოუჩინა ბოლშევიკურ პარტიასა და თავის მშობლიურ მთავრობას ომის წლებში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვანი ხმის მიცემით ხალხმა კიდევ და კიდევ ცხადჰყო, რომ იგი მთლიანად იწონებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკასა და გეგმებს. გამოსთქვა რა ხალხის ნებასურვილი, ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ—სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ გუშინ განაცხადა საბჭოთა მთავრობისადმი თავისი სრული ნდობის შესახებ, მისი ბრძნული სტალინური პოლიტიკისათვის თავისი მტკიცე მხარდაჭერის შესახებ.

გუშინ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარემ კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ჟდანოვმა გამოაქვეყნა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის განცხადება იმის შესახებ, რომ უმაღლესი საბჭოს განსახილველად სსრ კავშირის მთავრობის შექმნის საკითხის დაყენებასთან დაკავშირებით სახალხო კომისართა საბჭოს თავისი მოვალეობანი ამოწურულად მიაჩნია და იგი იხსნის თავის რწმუნებებს უმაღლესი საბჭოს წინაშე.

უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად, უდიდესი აღფრთოვანების ვითარებაში მიიღო გადაწყვეტილება დაავალოს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს წარმოადგინოს თავისი წინადადებანი სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

უსაზღვროა ხალხის სიყვარული და ნდობა თავისი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი. ამხანაგმა სტალინმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ბრძნული, შორსმჭვრეტელი პოლიტიკით მოამზადა ჩვენი სამშობლო აქტიური თავდაცვისათვის. სტალინურმა სამხედრო, პოლიტიკურმა და სახელმწიფოებრივმა ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო საბჭოთა კავშირის მსოფლიო ისტორიული გამარჯვება ყველაზე საშიშ და ყველაზე ძლიერ მტერზე, როგორიც კი ოდესმე ჩვენი სამშობლოს ისტორიას ახსოვს.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მისი ბრძნული წინასწარდასახულობით ჩვენი ხალხი შეუდგა თავისი მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენასა და შემდგომ განვითარებას. დაავალა რა ამხანაგ სტალინს წარმოადგინოს წინადადებანი სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობის შესახებ, უმაღლესმა საბჭომ შეასრულა ხალხის ნებასურვილი, რომელიც სტალინურ ხელმძღვანელობაში ხედავს თავისი ბედნიერების, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისა და დიდების, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის საქმის გამარჯვების მტკიცე საწინდარს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე სსრ კავშირის მთავრობის შექმნის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით დეპუტატ შვერნიკის მიერ შეტანილ წინადადებას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გარდაქმნის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების გარდაქმნის შესახებ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად.

უმაღლესი საბჭოს მიერ ერთსულოვნად მიღებული ეს წინადადება ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს მიერ განვლილი განვითარების გზას. გავიხსენოთ, რომ სახელწოდება სახალხო კომისართა საბჭო დაწესდა იმ დროს, როცა საბჭოთა სახელმწიფო ის-ის იყო იშვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად. ეს იყო მისი ჩამოყალიბების დაწყებითი პერიოდი. ახლა კი ჩვენ გვაქვს საბჭოთა სახელმწიფო, სავსებით ჩამოყალიბებული, რომელმაც გაუძლო ისეთ ისტორიულ შემოწმებას, ისეთ განსაცდელს, როგორსაც ვერ გაუძლებდა მსოფლიოს ვერც ერთი სხვა სახელმწიფო. ასეთი შემოწმება იყო ომი და მან გვიჩვენა საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების, საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძალა და სიცოცხლისუნარიანობა.

ჩვენი მთავრობის ახალი სახელწოდება საყოველთაოდ მიღებულია სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში და უფრო ზუსტად უპასუხებს კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის იმ მოცულობას, რასაც სსრ კავშირის კონსტიტუცია აკისრებს ცენტრალურ ორგანოებს და სახელმწიფო მმართველობის ცალკე დარგების სათავეში მდგომ პირებს.

„ამჟამად, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — საბჭოთა ხალხის წინაშე დგას ამოცანა განამტკიცოს მოპოვებული პოზიციები და გასწიოს წინ ახალი სამეურნეო აღმავლობისაკენ. ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ამ პოზიციების შენარჩუნებით, ვინაიდან ეს გაყინვამდე მიგვიყვანდა. ჩვენ უნდა წავიდეთ წინ, რათა შევქმნათ პირობები სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის“.

ამხანაგ სტალინის მიერ დაყენებულ ამ ისტორიული ამოცანისადმია დამორჩილებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად წარდგენილი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ამ ამოცანის შესრულებას მოანდომებს მთელ ძალებს საბჭოთა ხალხი, რომელიც მჭიდროდ არის დარაზმული ბოლშევიკური პარტიის გარშემო, თავისი მშობლიური მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარშემო, რომლის სათავეშია ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

„პრავდის“ 16/III მოწინავე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1946 წლის 16 მარტის სხდომის შესახებ

16 მარტს, დილის 11 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში შესდგა კავშირის საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ჟდანოვი.**

დღის წესრიგშია განხილვა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ნ. ა. ვოზნესენსკის** მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენის და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ი. ე. კალნბერზინი** (რიგის საქალაქო ოლქი, ლატვიის სსრ), **კ. ნ. ჩარკვიანი** (თბილისის ბერიას სახელობის ოლქი, საქართველოს სსრ), **მ. ი. როდიონოვი** (გორკის — სტალინის ოლქი, გორკის ოლქი), **მ. ყურბანოვი** (ყულიაბის ოლქი, ტაჯიკეთის სსრ), **ა. ი. ეფრემოვი** (ეგორევის ოლქი, მოსკოვის ოლქი), **ნ. პ. ბაჟანი** (ტულჩინის ოლქი, უკრაინის სსრ), **ს. ი. ვავილოვი** (ლენინის ოლქი, ქალაქი მოსკოვი), **მ. გ. პერვუხინი** (ვოროშილოვის ოლქი, მოლოტოვის ოლქი), **ნ. ი. გუსაროვი** (სტალინის ოლქი, მოლოტოვის ოლქი) და **ი. ტ. თევოსიანი** (ნიკოპოლის ოლქი, უკრაინის სსრ).

ამით მთავრდება კავშირის საბჭოს მესამე სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1946 წლის 16 მარტის სხდომის შესახებ

16 მარტს, საღამოს 6 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში შესდგა ეროვნებათა საბჭოს მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. კუზნეცოვი.**

დღის წესრიგშია განხილვა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ნ. ა. ვოზნესენსკის** მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენის და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ა. ნ. კოსიგინი** (ლენინგრადის სასოფლო ოლქი, რსფსრ), **ა. აბდურახმანოვი** (ფერგანის ოლქი, უზბეკეთის სსრ), **ა. კაზაკპაევი** (აკმოლინსკის ოლქი, ყაზახეთის სსრ), **ზ. ა. შაშკოვი** (ალატირის ოლქი, ჩუვაშეთის ასსრ), **ს. მ. შარაფეევი** (ჩისტოპოლის ოლქი, თათრეთის ასსრ), **ნ. გ. კოვალი** (ოკნიცის ოლქი, მოლდავეთის სსრ), **ს. ვ. კაფტანოვი** (ყაზანის ოლქი, რსფსრ), **ტ. კულატოვი** (უზგენის ოლქი, ყირგიზეთის სსრ), **პ. ს. პროკონენი** (რუგოზერის ოლქი, კარელია-ფინეთის სსრ), **ი. ი. ნუტი** (ვილიანდის ოლქი, ესტონეთის სსრ).

ამით მთავრდება ეროვნებათა საბჭოს მესამე სხდომა.

დეპუტატ მ. ს. გრეჩუხას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენ აქ მოვისმინეთ თავმჯდომარის მიერ სსრ კავშირის მთავრობის სახელით გამოქვეყნებული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინის** მიერ ხელმოწერილი განცხადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მთავრობა იხსნის თავის რწმუნებებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

მე ვფიქრობ, რომ უმაღლესი საბჭო, ძირითადი კანონის—სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, მიიღებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განცხადებას მთავრობის მიერ თავის რწმუნებათა მოხსნის შესახებ და იმედი მაქვს, გამოვთქვამ ყველა დეპუტატის აზრს, თუ განვაცხადებ, რომ უმაღლესი საბჭო ერთსულოვანია თავის სრულ ნდობაში სსრ კავშირის მთავრობისადმი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

ამხანაგო დეპუტატებო! ბრწყინვალე, მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, რაც საბჭოთა ხალხმა სსრ კავშირის მთავრობისა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით მოიპოვა დიდ სამამულო ომში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, წარმოადგენს სსრ კავშირის მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის სიბრძნისა და სისწორის საუკეთესო შეფასებას. **(მქუხარე ტაში).**

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დღიდან რვა წელმა განვლო. ეს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დიად მოვლენათა წლები იყო.

კაცობრიობამ ისტორიაში უმაგალითო ომი განიცადა. ამ ომის ძირითადი, უმძიმესი ტვირთი თავისი მხრებით გადაიტანა ჩვენმა საბჭოთა ხალხმა, რომელმაც ყველა განსაცდელს გაუძლო და დაიცვა თავისი დიადი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საბჭოთა ხალხის მიერ სამამულო ომში მოპოვებულმა მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ ცხადჰყო ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს დაუძლეველი სიცოცხლისუნარიანობა, ძალა და სიმტკიცე. ეს გამარჯვება გენიალური ლენინურ-სტალინური ხელმძღვანელობით შექმნილი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების გამარჯვებაა. ეს გამარჯვება შედეგია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ბრძნული სტალინური პოლიტიკისა, რამაც ჩვენი სამშობლო უმაგალითოდ მოკლე ვადაში გადააქცია მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელმაც არა მარტო გაუძლო თავით ფეხთამდე შეიარაღებული გერმანელი ფაშისტი მტაცებლის გააფთრებულ შემოტევას და შემუსრა იგი, არამედ კიდევ უფრო ძლიერი და მძლავრი გამოვიდა ომიდან.

საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფო უძლეველი აღმოჩნდა იმიტომ, რომ იგი ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოა, სადაც ძალაუფლება ეკუთვნით მშრომელებს, სადაც სოციალისტური სისტემა ბატონობს სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში, სადაც ურყევია მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის კავშირი, სადაც გამარჯვებულია ერებისა და რასების თანასწორობის იდეოლოგია, სადაც ყველა ხალხი ცხოვრობს და შრომობს ერთიან ძმურ ოჯახში, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და სადაც შრომა ღირსების, დიდების, მამაცობისა და გმირობის საქმეს წარმოადგენს.

ამხანაგო დეპუტატებო! მტერზე გამარჯვების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა კომუნისტურმა პარტიამ. თავისი ორგანიზატორული მუშაობით მან მტრის გასანადგურებლად დარაზმა საბჭოთა საზოგადოების მთელი მატერიალური და მორალური ძალები, უზრუნველჰყო ყველა იმ უპირატესობის სრული გამოყენება, რომლებსაც საბჭოთა წყობილება შეიცავს.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი ხალხის უდიდესი ბედნიერებაა, რომ ომის განსაცდელის ყველაზე მძიმე დროს ჩვენს ქვეყანას ხელმძღვანელობდა, ჩვენს ხალხს აღაფრთოვანებდა და მას გამარჯვებისაკენ მიუძღოდა ბრძენი ბელადი და გენიალური მხედართმთავარი,—საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი **სტალინი. (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).** ამხანაგ **სტალინის** სახელმწიფოებრივმა, პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ იხსნა ჩვენი სამშობლო დამონების საფრთხისაგან, აამაღლა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟი და ავტორიტეტი.

საბჭოთა მთავრობამ შესძლო განემტკიცებინა სსრ კავშირის საზღვრების უშიშროება, დაეცვა საბჭოთა ქვეყნის ხალხთა სახელმწიფოებრივი ინტერესები, მათი ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისუფლება და კულტურა.

საბჭოთა მთავრობის ბრძნული საგარეო პოლიტიკის შედეგად საბჭოთა უკრაინას შემოუერთდნენ დასავლეთი უკრაინა და ჩრდილოეთი ბუკოვინა; ჩეხოსლოვაკიასთან ხელშეკრულებით სსრ კავშირის შემადგენლობაში შემოვიდა იმიერკარპატის უკრაინა. ამით უკრაინის მთელი მიწა-წყალი გაერთიანებულია უკრაინის ერთიან სახელმწიფოში.

საბოლოოდ გაერთიანებულია საბჭოთა ბელორუსიის მთელი მიწა-წყალი; საბჭოთა მოლდავეთში გაერთიანდა მოლდავეთის მთელი მიწა-წყალი. საბჭოთა კავშირში სრულუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკებად შემოვიდნენ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. უზრუნველყოფილია ჩვენი სამშობლოს საზღვრების უშიშროება ბალტიისპირეთში, ფინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში. აღდგენილია ჩვენი სახელმწიფოს უფლებები პორტ-არტურისა და დალნის რაიონებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რამაც განსაკუთრებული პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა, საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის საუკეთესო დათვალიერება და ერთსულოვანი საყოველთაო სახალხო შეფასება იყო.

საბჭოთა ქვეყნის ხალხებმა, რომლებმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, ა. წ. 10 თებერვალს ერთსულოვნად მისცეს თავიანთი ხმები კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ცხადჰყვეს უსაზღვრო ნდობა და სიყვარული საბჭოთა მთავრობისადმი, ბოლშევიკური პარტიისა და მშობლიური **სტალინისადმი. (ტაში).**

ა. წ. 9 თებერვალს ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა **სტალინმა** გენიალური სიცხადითა და მკაფიობით დასახა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ახალი აყვავების პერსპექტივები, გვიჩვენა ამ გრანდიოზულ დასახულობათა განხორციელების სწორი გზა. სავსებით უეჭველია, რომ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენი სახელმწიფო მიაღწევს თავისი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის უფრო მეტ ზრდას.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად შემომაქვს შემდეგი წინადადება მთავრობის მეთაურის განცხადების გამო სსრ კავშირის მთავრობის მიერ თავის რწმუნებათა მოხსნის შესახებ:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განცხადებას სსრ კავშირის მთავრობის მიერ თავის რწმუნებათა მოხსნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე და ავალებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს წარუდგინოს უმაღლეს საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობის შესახებ“. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ ნ. მ. შვერნიკის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! იმასთან დაკავშირებით, რომ უმაღლესი საბჭოს სესია განიხილავს სსრ კავშირის მთავრობის შექმნის საკითხს, თქვენს განსახილველად შემომაქვს წინადადება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ გარდაქმნის შესახებ. **(მთელი დარბაზის მქუხარე ტაში).**

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს ამჟამად მოქმედი სახელწოდება—სახალხო კომისართა საბჭო და სახელმწიფო მართვა-გამგეობის სხვადასხვა დარგების ხელმძღვანელი ცენტრალური ორგანოების სახელწოდება—სახალხო კომისარიატები, — წარმოიშვა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ პერიოდში, რომელიც დაკავშირებული იყო ძველი სახელმწიფო მანქანის ძირფესვიან მსხვრევასა და სახელმწიფო ცხოვრების ახალი, საბჭოთა ფორმების დამყარებასთან. ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პერიოდი, როცა მართვა-გამგეობის ორგანიზაციის ფორმები ჯერ კიდევ მერყევი იყო და ის-ის იყო იქმნებოდა. მაგრამ სახელმწიფო მართვა-გამგეობის ორგანოები უცვლელი როდი რჩებოდნენ; საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მსვლელობაში იცვლებოდნენ სახელმწიფო ორგანოების ფორმები და ფუნქციები. და შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემა გარდაიქმნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო საბოლოოდ ჩამოყალიბდა.

ახლა ძველი სახელწოდება—სახალხო კომისარიატები საკმაოდ მკაფიოდ ვეღარ გამოხატავს კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის იმ მოცულობას, რომელსაც სსრ კავშირის კონსტიტუცია აკისრებს ცენტრალურ ორგანო-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში

საქართველოს სსრ მიწსახკომმა შეაჯამა შედეგები საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა სოციალისტური შეჯიბრებისა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობის დარგში მესამე ვადისთვის—1946 წლის 1 იანვრისთვის, გამარჯვებულად სცნო ქვემო აღნიშნული კოლმეურნეობანი და გადაწყვიტა გადასცეს მათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები.

მოსავლიანობის დარგში:

წითელწყაროს რაიონის სოფელ უზუნდარის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობას, გორის რაიონის სოფელ თორტიზის კოლმეურნეობა „წითელ თორტიზას“, კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალის სტალინის სახელობის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ბერიას სახელობის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებს.

საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობის დარგში:

დაუტოვოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა წითელწყაროს რაიონის სოფელ დაგეთხაჩინის სტალინის სახელობის, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის, ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებს.

გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის სოფელ ზემო როკის ბერიას სახელობის, წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობებს. (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

დეპუტატ ნ. მ. შვერნიკის სიტყვა

(დასასრული)

ებს და სახელმწიფო მართვა-გამგეობის ცალკეული დარგების სათავეში მდგომ პირებს.

ცნობილია აგრეთვე, რომ სახელწოდება კომისარიატი და კომისარი მიკუთვნებული აქვთ არა მარტო სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მართვა-გამგეობის ცენტრალურ ორგანოებსა და მათს ხელმძღვანელებს, არამედ ზოგიერთ ადგილობრივ ორგანოსა და მათს მუშაკებსაც.

ამრიგად, ეს საყოველთაოდ მიღებული ტერმინოლოგია შლის ზღვარს ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს შორის, მართვა-გამგეობის ცენტრალური დარგების ხელმძღვანელებსა და ადგილობრივ დაწესებულებათა მუშაკებს შორის და მეტისმეტი გართულებანი შეაქვს ცნებაში სახელმწიფო მართვა-გამგეობის სხვადასხვა ორგანოთა კომპეტენციის, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის შესახებ.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ საჭიროა გარდაიქმნან სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მართვა-გამგეობის ცენტრალური ორგანოები, შეიცვალოს სახელწოდება მათს სათავეში მდგომ თანამდებობის პირებს და მიეკუთვნოს მათ სახელმწიფო პრაქტიკაში საყოველთაოდ მიღებული სახელწოდებანი.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია გარდაიქმნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ და სსრ კავშირის სახალხო კომისარიატები—სსრ კავშირის სამინისტროებად და, ამის შესაბამისად, ამიერიდან ეწოდოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და სსრ კავშირის სახალხო კომისრებს—სსრ კავშირის მინისტრები.

სახელწოდებათა ასეთივე შეცვლა მიზანშეწონილია მოხდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებას სახელმწიფო მართვა-გამგეობის ორგანოთა სისტემაშიც.

ნებას ვაძლევ ჩემს თავს შემოვიტანო შემდეგი პროექტი კანონისა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად გარდაქმნის შესახებ:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. გარდაიქმნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოდ და სსრ კავშირის სახალხო კომისარიატები—სსრ კავშირის სამინისტროებად. ამის შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამიერიდან ეწოდოს—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს—სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და სსრ კავშირის სახალხო კომისრებს—სსრ კავშირის მინისტრები.

მუხლი 2. გარდაიქმნას მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისარიატები—მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებად. ამის შესაბამისად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს ამიერიდან ეწოდოთ—მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარის მოადგილეებს — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარის მოადგილეები და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისრებს—მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრები.

მუხლი 3. შეტანილ იქნას საჭირო ცვლილებები სსრ კავშირის კონსტიტუციის სათანადო მუხლებში“.

ეროვნებათა საბჭოს სხდომა

14 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია განაგრძობდა მუშაობას. დილის 11 საათზე დაიწყო ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგშია სამანდატო კომისიის მოხსენება.

თავმჯდომარე დეპუტატი კუზნეცოვი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **პ. ა. შარიას.**

მომხსენებელი აცხადებს, რომ ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიამ სსრ კავშირის კონსტიტუციის 50 მუხლის საფუძველზე შეამოწმა ეროვნებათა საბჭოში 1946 წლის 10 თებერვალს არჩეულ დეპუტატთა რწმუნებანი და თავის მოხსენებას უდგენს სესიას განსახილველად და დასამტკიცებლად. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისათვის შექმნილი იყო 657 საარჩევნო ოლქი. ყველა ამ ოლქში არჩევნები მოხდა დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში და კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ყველა კანდიდატი, რომლებიც წამოაყენეს ჩვენი ქვეყნის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის მრავალრიცხოვანმა ორგანიზაციებმა, ერთსულოვნად იქნენ არჩეულნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად.

შეამოწმა რა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი ყველა მასალა თვითეულ დეპუტატზე ცალ-ცალკე, სამანდატო კომისიამ დაადასტურა, რომ ყველა 657 საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით. არავითარი საჩივარი და განცხადება კონსტიტუციის ან არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ არც საარჩევნო ოლქებში და არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არ არის. ამის საფუძველზე სამანდატო კომისია სწორად სცნობს ეროვნებათა საბჭოს ყველა დეპუტატის რწმუნებას, რომლებიც რეგისტრირებული არიან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

— კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის თავისი ერთსულოვანი ხმის მიცემით,—ამბობს დეპუტატი შარია,—საბჭოთა ხალხმა, რომელმაც ღირსეულად გადაიტანა მტრის მიერ ჩვენთვის თავსმოხვეული მძიმე ომის ყველა განსაცდელი, კვლავ მკაფიოდ ცხადჰყო თავისი ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, თავისი ურღვევი დარაზმულობა ბოლშევიკური პარტიის გარშემო, თავისი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო.

ამ სიტყვებს დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან.

შემდეგ სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა ციფრები, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა ხალხის ერთსულოვნებას ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში, მთელი ხალხის მიერ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის მხურვალე მხარდაჭერას. ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო 101.450.936 ამომრჩეველმა მთელ საბჭოთა კავშირში რეგისტრირებული 101.717.686 ამომრჩევლის საერთო რაოდენობიდან. კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 100.603.567 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს ხმის მიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,16 პროცენტს.

სამანდატო კომისიას ეროვნებათა საბჭოს სესიის დასამტკიცებლად შემოაქვს წინადადება ცნობილ იქნას ეროვნებათა საბჭოს ყველა დეპუტატის რწმუნებათა სისწორე, რომლებიც რეგისტრირებული არიან გაზეთ „იზვესტიის“ 1946 წლის 14 თებერვლის № 40-ში გამოქვეყნებული სიით.

სამანდატო კომისიის მოხსენების გამო სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ე. ი. ურალოვას.**

ბელორუსიის, მოსკოვისა და ყაზახეთის დეპუტატთა ჯგუფის სახელით ურალოვას წინადადება შეაქვს:

1) დამტკიცდეს სამანდატო კომისიის მოხსენება ყველა 657 საარჩევნო ოლქში არჩეული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ და 2) დამთავრებულად ჩაითვალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა.

დეპუტატ ურალოვას წინადადებანი ერთხმად იქნა მიღებული.

სესია გადადის დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს დეპუტატ **ა. თ. გორკინს.**

დეპუტატი გორკინი აცხადებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უმაღლესი საბჭოს VIII სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში გამოსცა ბრძანებულებანი მთელი რიგი საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების შექმნისა და გარდაქმნის შესახებ.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით დეპუტატ გორკინს სესიის დასამტკიცებლად შეაქვს 1945 წლის 10 ოქტომბრის ბრძანებულება უმაღლეს საბჭოში ასარჩევ მოქალაქეთა ასაკობრივი ცენზის შესახებ და კითხულობს კანონის პროექტს, რომელიც განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება სესიას.

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ ერთხმად იქნა მიღებული.

ამით მთავრდება ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

ცხადდება შესვენება 15 მარტის საღამოს 7 საათამდე. (საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946—1950 წლებისათვის

სსრ კავშირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ნ. ა. ვოზნესენსკის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თქვენს განსახილველად შემოაქვს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946-1950 წლებისათვის.

I.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები

მშვიდობიან შრომაზე გადასვლის შესაძლებლობა საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს უდიდესი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების — ჰიტლერული გერმანიის განადგურებისა და იაპონიის იმპერიალიზმის დამარცხების შედეგად. მოპოვებულია სსრ კავშირის სრული სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური გამარჯვება გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმზე. ამიერიდან ჩვენი სამშობლო განთავისუფლებულია გერმანელთა შემოსევის საფრთხისაგან დასავლეთით და იაპონიის შემოსევის საფრთხისაგან აღმოსავლეთით.

სსრ კავშირის გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ წარმოშობილმა საბჭოთა **საზოგადოებრივმა** წყობილებამ. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი წყობილება დაფუძნებულია საწარმოო საშუალებათა სოციალისტურ საკუთრებაზე. საბჭოთა სახელმწიფოს ხელში ძირითად საწარმოო საშუალებათა თავმოყრამ უზრუნველჰყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სწრაფი სამხედრო გარდაქმნა. რევოლუციამდელ რუსეთს არ შეეძლო გადაელახა საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონე საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრების ბატონობის დროს, რამაც მას გადაუჭრელი სიძნელეები შეუქმნა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. სსრ კავშირში სამამულო ომის დაწყების დიდი ხნით ადრე ლიკვიდირებულ იქნენ ექსპლოატატორული კლასები: მემამულეთა კლასი უკვე ლიკვიდირებული იყო სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად; სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად მოისპო კაპიტალისტთა კლასი მრეწველობის დარგში, მოისპო კულაკთა კლასი სოფლის მეურნეობის დარგში, მოისპნენ ვაჭრები და სპეკულანტები საქონელბრუნვის დარგში.

სოციალისტური წყობილების გამარჯვებამ და ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის ძირფესვიანად შეცვლამ უზრუნველჰყო სსრ კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირი და ურღვევი მეგობრობა ყველა ხალხისა, რომლებიც დიდ საბჭოთა კავშირს ჰქმნიან.

სსრ კავშირის გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ გაიმარჯვა საბჭოთა **სახელმწიფოებრივმა** წყობილებამ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა კვლავ ცხადჰყო საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების ურყევი სიცოცხლისუნარიანობა და ძალა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში 1937 წელს მონაწილეობა მიიღო 91,1 მილიონმა ამომრჩეველმა, ხოლო 1946 წელს — 101,5 მილიონმა ამომრჩეველმა, მათ შორის 100,6 მილიონმა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკს. ეს არის უდიდესი სოციალისტური დემოკრატიისა და მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცის გამოვლინება. საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების თავისებურებას წარმოადგენს მისი უნარი—კრიზისულ პერიოდში მობილიზაცია უყოს უდიდეს რეზერვებს და ხალხის გმირული შრომით უზრუნველჰყოს ომის საჭიროებანი ჩვენი ქვეყნის წარმოებით. საბჭოთა ზურგის მშრომელებმა, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, საბჭოთა გლეხობამ და ინტელიგენციამ, თავდადებულმა ქალებმა და ახალგაზრდობამ გმირობა ჩაიდინეს და ეკონომიური გამარჯვება მოიპოვეს მტერზე. საბჭოთა ხალხისა და მისი სახელმწიფოებრივი წყობილების ხელმძღვანელი ძალაა კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), ლენინ-სტალინის პარტია, რომლის ხელმძღვანელობითაც მთელი მრავალეროვანი საბჭოთა კავშირი ერთიან საბრძოლო ბანაკად დაირაზმა.

საბჭოთა კავშირის გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ გაიმარჯვეს საბჭოთა **შეიარაღებულმა** ძალებმა, გაიმარჯვა წითელმა არმიამ დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**). სამამულო ომში გაიმარჯვა სტალინური სამხედრო სტრატეგია და ტაქტიკა, რომლებშიც ათვისებულია სუვოროვისა და კუტუზოვის გამოცდილება, თანამედროვე ომების გამოცდილება და გამდიდრდნენ ახალი სამხედრო ტექნიკით. გამარჯვების სტალინურმა მეცნიერებამ, ცეცხლისა და მანევრის შეხამების ახალმა ტაქტიკამ წითელი არმია გაამდიდრა მტრის გასანადგურებლად მიმართული უდიდესი ძალით. გამარჯვების სტალინური მეცნიერება მრავალი და მრავალი თაობისათვის სამუდამოდ **დარჩება სიბრძნისა** და გმირობის წყაროდ. საბჭოთა კავშირის გამარჯვება ნიშნავს ლენინიზმის გამარჯვებას, სტალინის გენიის უდიდეს გამარჯვებას. საბჭოთა კავშირი დიდ სტალინს უნდა უმადლოდეს რკინისებურ გამძლეობას და შეუდრეკელ ნებისყოფას იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხების მთელი რესურსები და ძალები წარიმართა ჰიტლერული გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმის გასანადგურებლად.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ჩვენი ქვეყნის მთელი მატერიალური შესაძლებლობანი წინასწარ მომზადებული იყო აქტიური თავდაცვისათვის. ჩვენი გამარჯვების მატერიალური შესაძლებლობანი შექმნილი იყო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე. სამამულო ომის პერიოდში ეს მატერიალური შესაძლებლობანი სავსებით გამოიყენეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. სამამულო ომმა მოითხოვა საბჭოთა ეკონომიკის დაუყოვნებლივ გადაყვანა სამხედრო მეურნეობის რელსებზე. ამხანაგ სტალინის მეთაურობით შექმნილმა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, რომლის ხელშიც მოქცეულ იქნა მთელი ძალაუფლება, უზრუნველჰყო სახალხო მეურნეობის მთელი რესურსების მობილიზაცია სამამულო ომის საჭიროებისათვის.

შევადაროთ ზოგიერთი ცნობები პირველი მსოფლიო ომის პერიოდის რუსეთის სამხედრო ეკონომიკის შესახებ და ცნობები მეორე მსოფლიო ომის პერიოდის სსრ კავშირის სამხედრო ეკონომიკის შესახებ, რომლებიდანაც სჩანს, თუ როგორ გამოიყენეს საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ სოციალისტური წყობილების შესაძლებლობანი. რუსეთში მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია (უცვლელ ფასებში) 1915-1917 წლების პერიოდში შეადგენდა 33 მილიარდ მანეთს, ხოლო სსრ კავშირში (ძირითადად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში) 1942-1944 წლების პერიოდში შეადგენდა 361 მილიარდ მანეთს, ე. ი. თითქმის თერთმეტჯერ გადიდდა; სასაქონლო მარცვლეულის წარმოება იმავე პერიოდებში გადიდდა 2,5-ჯერ; რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის საშუალო წლიური დონე სსრ კავშირში 1942-1944 წლების პერიოდში 1915-1917 წლების პერიოდის რუსეთთან შედარებით 3,4-ჯერ გადიდდა.

ტანკებისა და თვითმფრინავების წარმოება რუსეთში პირველი მსოფლიო ომის პერიოდში თითქმის არ ყოფილა; სსრ კავშირში სამამულო ომის უკანასკნელ სამ წელს ყოველწლიური გამოშვება შეადგენდა 30 ათასზე მეტ ტანკსა და თვითმავალს და 40 ათასამდე თვითმფრინავს. ქვემეხების საშუალო წლიური გამოშვება რუსეთში პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ სამ წელს შეადგენდა 3,9 ათასამდე ცალს; სსრ კავშირში ყოველწლიური გამოშვება სამამულო ომის უკანასკნელ სამ წელს შეადგენდა 120 ათასამდე ქვემეხს, ანუ 30-ჯერ მეტს. ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევებს რუსეთში პირველი მსოფლიო ომის სამ უკანასკნელ წელს ამზადებდნენ დაახლოებით 8,9 ათას ცალს წელიწადში; სსრ კავშირში სამამულო ომის უკანასკნელ სამ წელს ყოველწლიურად მზადდებოდა 450 ათასამდე ტყვიამფრქვევი, ანუ 50-ჯერ მეტი. შაშხანებს რუსეთში პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ სამ წელს ამზადებდნენ 1.050.000 ცალს წელიწადში; სსრ კავშირში შაშხანები და ავტომატები სამამულო ომის უკანასკნელ სამ წელს ყოველწლიურად მზადდებოდა ხუთი მილიონი ცალი, ანუ ხუთჯერ მეტი. ნაღმსატყორცნები პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ სამ წელს რუსეთში ყოველწლიურად მზადდებოდა დაახლოებით 6,2 ათასი ცალი; სსრ კავშირში სამამულო ომის უკანასკნელ სამ წელს ყოველწლიურად მზადდებოდა 100 ათასი ცალი, ანუ 16-ჯერ მეტი. ყუმბარები, ბომბები და ნაღმები რუსეთში პირველი მსოფლიო ომის უკანასკნელ სამ წელს მზადდებოდა დაახლოებით 16,3 მილიონი ცალი; სსრ კავშირში 1944 წელს დამზადდა 240 მილიონი ცალი, ანუ 15-ჯერ მეტი. ასეთია ის შედეგები საწარმოო ძალთა განვითარებისა სოციალისტური წარმოების საფუძველზე, რომლებმაც თავი იჩინეს სამამულო ომის პერიოდში, მიუხედავად სსრ კავშირის იმ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დროებითი ოკუპაციისა, რომელიც მდიდარია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მხრივ.

სსრ კავშირის სამხედრო ეკონომიკის ისტორიაში იყო ისეთი პერიოდი, როდესაც სამხედრო მრეწველობის მეტი ნაწილი მოძრაობაში იყო აღმოსავლეთისაკენ. იქ გადაგვქონდა ათიათასობით დაზგა, ურო, წნეხი, ტურბინი. იქ მიდიოდა ათასობით მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი. ეს იყო თავისებური პერიოდი სსრ კავშირის საწარმოო ძალთა ადგილგადანაცვლებისა აღმოსავლეთისაკენ. ამ დროს მტერი ჩვენი წმიდათა-წმიდა დედაქალაქის—მოსკოვის კარიბჭესთან იდგა. სსრ კავშირი დროდადრო კრიზისულ მდგომარეობას განიცდიდა. ვერც ერთი სხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, ვერც ერთი სხვა არმია ვერ გაუძლებდა ასეთ სამხედრო და ეკონომიურ განსაცდელს. ეს შესძლეს მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფომ, ჩვენმა ხალხმა და კომუნისტურმა პარტიამ დიდი სტალინის მეთაურობით. და აი—ომი დამთავრდა გამარჯვებით, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ქვეყანამ კვლავ განაახლა თავისი ძლევამოსილი გზა კომუნიზმისაკენ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ უზრუნველჰყო მშვიდობიან პერიოდზე გადასვლა და საბჭოთა კავშირის ხალხების წინაშე დააყენა ახალი ამოცანა—სამხედრო მეურნეობის გადაყვანა მშვიდობიანი ეკონომიკის რელსებზე. საბჭოთა კავშირი სამეურნეო განვითარების მშვიდობიან პერიოდში შევიდა.

„ამჟამად საბჭოთა ხალხის წინაშე დგას ამოცანა—განამტკიცოს მოპოვებული პოზიციები და გასწიოს წინ ახალი სამეურნეო აღმავლობისაკენ“ (სტალინი).

სამხედრო მეურნეობიდან მშვიდობიანი დროის ეკონომიკაზე გადასვლა კაპიტალისტურ ქვეყნებში სწარმოებს თავისი, კაპიტალიზმისათვის ჩვეული განსაკუთრებული კანონებით. ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მაქსიმალური დონე იყო 1943 წლის ოქტომბერში. ამის შემდეგ სამრეწველო წარმოებას ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ დონისათვის არასოდეს აღარ მიუღწევია და 1945 წლის დამლევისათვის მესამედზე მეტით შემცირდა, რაც უდრის, დაახლოებით, 1941 წლის წარმოების დონეს. წარმოების დონის შემცირებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე გამოიწვია უმუშევრობის ზრდა. ინგლისში, რომელმაც მეორე მსოფლიო ომამდე ხანგრძლივი დეპრესია განიცადა, კვლავ წამოიჭრნენ ძველი პრობლემები. როგორც ცნობილია, ინგლისს არ შეუძლია არსებობა ნედლეულისა და სურსათის უიმპორტოდ. მაგრამ ნედლეულისა და სურსათის შესატანად და მათი ფასის გადასახდელად საჭიროა დიდი ექსპორტი, ვალუტა და აღდგენა მრეწველობის უნარისა—იაფად დაამზადოს საქონელი ექსპორტისათვის. ხოლო საერთაშორისო ბაზარი, მეორე მსოფლიო ომის შედეგად, მოშლილია და მას სულ უფრო და უფრო იპყრობენ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც გაცილებით უფრო განვითარებული საწარმოო ძალები მოეპოვებათ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი რწმენით მიდის წინ სოციალისტური წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების გზით, არ ეშინია ეკონომიური კრიზისებისა, დეპრესიებისა და უმუშევრობისა, თანმიმდევრულად გარდაქმნის სახალხო მეურნეობას და აძლიერებს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ტემპებს სახელმწიფო გეგმების საფუძველზე, რომლებსაც სსრ კავშირში განვითარების ეკონომიური კანონების ძალა აქვთ. სსრ კავშირი კვლავაც განავითარებს ეკონომიურ ურთიერთობას უცხო ქვეყნებთან საბჭოთა მთავრობის იმ ნაცადი ხაზის დაცვით, რომელიც ნავარაუდევია საბჭოთა კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის.

სამამულო ომმა აამაღლა და გააძლიერა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მნიშვნელობა. მოპოვებულია უდიდესი გამარჯვება. მაგრამ ვინც ყოყოჩობს და ვისაც თავბრუ ესხმის წარმატებისაგან, ის საბოლოო ანგარიშით აგებს. ამიტომ კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის ხალხების წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის პირობების შექმნისათვის.

სსრ კავშირის 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა ის არის, რომ **აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ ამ დონეს.** ამის შესაბამისად სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა შემდეგ ამოცანებს ითვალისწინებს:

პირველი, ომამდელ დონესთან შედარებით თითქმის ერთნახევარჯერ გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოების დონე და უზრუნველვყოთ **პირველ რიგში მძიმე მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა და განვითარება**, ურომლისოდაც შეუძლებელია სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი და წარმატებითი აღდგენა და განვითარება. მძიმე ინდუსტრიის სწრაფად აღდგენის გარეშე არ შეიძლება განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობა. ამ საქმეში დაგვიანება იმას ნიშნავს, რომ დავკარგოთ ის მატერიალური წანამძღვრები, რომლებმაც სამამულო ომის პერიოდში უზრუნველჰყვეს ჩვენი სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური გამარჯვება. საჭიროა 1946 წელს დავამთავროთ სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი გარდაქმნა და სამხედრო მრეწველობის საწარმოო სიმძლავრენი გამოვიყენოთ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი გადიდებისათვის.

მეორე, მივაღწიოთ სოფლის მეურნეობისა და მოხმარების საშუალებათა მწარმოებელი მრეწველობის აღმავლობას საბჭოთა კავშირის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და **ჩვენს ქვეყანაში ფართო მოხმარების ძირითადი საგნების სიუხვის შესაქმნელად**. საჭიროა გადავაჭარბოთ სახალხო შემოსავლის ომამდელ დონეს და სახალხო მოხმა-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946-1950 წლებისათვის

სსრ კავშირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ნ. ა. ვოზნესენსკის მოხსენება

(გაგრძელება)

რების დონეს, უახლოეს ხანში გავაუქმოთ საბარათო სისტემა და შევცვალოთ იგი გაშლილი, კულტურული საბჭოთა ვაჭრობით, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას საქონლის ფასების თანმიმდევრული დაკლების გზით. ეს ამოცანები, თავის მხრივ, მოითხოვენ ფულის ტრიალისა და საბჭოთა მანეთის განმტკიცებას.

მესამე, უზრუნველვყოთ **შემდგომი ტექნიკური პროგრესი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში,** როგორც წარმოების მძლავრი აღმავლობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების პირობა. ამისათვის საჭიროა არა მარტო დავეწიოთ, არამედ უახლოეს დროში კიდევაც გადავაჭარბოთ მეცნიერების მიღწევებს სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ. სოციალისტური წარმოების ტემპების დაჩქარება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სულ უფრო და უფრო მეტად იქნება განსაზღვრული ტექნიკური პროგრესით და ხალხის ინტერესებისათვის მისი გამოყენებით. კაპიტალისტურ ქვეყნებში ტექნიკური პროგრესი ეწინააღმდეგება საზოგადოების პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციას. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ გამოვიყენოთ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობანი და უზრუნველვყოთ ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური პროგრესის სწრაფი და განუწყვეტელი განვითარება. ჩვენი სამშობლოს ისტორიას ახსოვს მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრი ნოვატორი და რევოლუციონერი, რომლებმაც მოახდინეს მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენები. საკმაოა მოვიხსენიოთ **პოპოვი**—გამოჩენილი ფიზიკოსი, გამომგონებელი რადიოსი, რომელიც დღემდე განაგრძობს გადატრიალებათა მოხდენას მეცნიერებაში და უახლესი რადიოლოკაციური ტექნიკის საფუძველს წარმოადგენს; **მენდელეევი**—მსოფლიოს უდიდესი ქიმიკოსი, რომელმაც აღმოაჩინა პერიოდული კანონი—ქიმიის ძირითადი კანონი, რაც უკანასკნელ დრომდე ეხმარება მეცნიერებს ატომის ენერგიის საიდუმლოს აღმოჩენაში; **ჟუკოვსკი**—მთელ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, რომელმაც შექმნა თანამედროვე აეროდინამიკისა და ავიაციის თეორიული საფუძვლები; **ციოლკოვსკი** — გამოჩენილი მეცნიერი და გამომგონებელი, რომელმაც შეიმუშავა რეაქტიული მოძრაობის თეორია, რაც საფუძვლად უძევს თანამედროვე რეაქტიულ ტექნიკას, და რომელმაც წინ გაუსწრო ასეთ გამოკვლევებს საზღვარგარეთ. ჩვენს მეცნიერთათვის სათანადო დახმარების გაწევით საბჭოთა მეცნიერება შესძლებს გადააჭარბოს მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ.

მეოთხე, უზრუნველვყოთ სოციალისტური დაგროვების მაღალი ტემპები, გავითვალისწინოთ ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის ხუთი წლის განმავლობაში 250 მილიარდი მანეთის ოდენობით და 234 მილიარდი მანეთის ღირებულების აღსადგენ და ახალ საწარმოთა ამოქმედება. დაზარალებულ რაიონებში სახალხო მეურნეობის აღდგენასთან ერთად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ძირითადი ფონდები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში, კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შესრულების შედეგად არა მარტო აღდგენილ იქნება, არამედ 1950 წელს კიდევაც გადიდდება 1.130 მილიარდ მანეთამდე (სახელმწიფო ფასებში) და 8 პროცენტით გადააჭარბებს სსრ კავშირის მთელი ტერიტორიის ძირითადი ფონდების განვითარების ომამდელ დონეს. კაპიტალური მშენებლობის პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა შევქმნათ მძლავრი სამშენებლო ინდუსტრია და უზრუნველვყოთ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობის ყოველწლიური მატება დაახლოებით 12 პროცენტით.

მეხუთე, ჩვენი ამოცანაა **სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი გაძლიერება და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების აღჭურვა უახლესი სამხედრო ტექნიკით.** საბჭოთა ხალხს სურს კიდევ უფრო ძლიერსა და მძლავრს ხედავდეს თავის შეიარაღებულ ძალებს, რათა თავისი ქვეყანა უზრუნველჰყოს ყოველგვარი შემთხვევითობისაგან და იდგეს მშვიდობიანობის საგუშაგოზე. აღმოსავლეთით და დასავლეთით აღდგენილია საბჭოთა კავშირის ისტორიული საზღვრები. ამიერიდან აღმოსავლეთში სამხრეთ სახალინი და კურილის კუნძულები ოკეანისაგან საბჭოთა კავშირის მოწყვეტის საშუალება და ჩვენს შორეულ აღმოსავლეთზე იაპონიის თავდასხმის ბაზა კი აღარ იქნება, არამედ ოკეანესთან საბჭოთა კავშირის პირდაპირი კავშირის საშუალება და იაპონიის აგრესიისაგან ჩვენი ქვეყნის დაცვის ბაზაა. ამიერიდან თავისუფალი და დემოკრატიული პოლონეთის სახელმწიფო არის არა ჩვენს დასავლეთ საზღვრებზე გერმანიის თავდასხმის პლაცდარმი, არამედ ჩვენი მოკავშირეა გერმანიის აგრესიისაგან დაცვაში. მაგრამ ამხანაგი სტალინი გვაფრთხილებს, რომ „მშვიდობისმოყვარე ერებს მომავალში შესაძლოა კვლავ მოუმზადებელს მოუსწროს აგრესიამ, თუ, რა თქმა უნდა, მათ აწლავე არ გამოიმუშავეს სპეციალური ღონისძიებანი, რომლებითაც შესაძლებელი იქნება აგრესიის თავიდან აცილება“. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მონოპოლისტურ კაპიტალიზმს სჩვევია ახალი აგრესორების წარმოშობა. ახალი აგრესიის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სავსებით განვაიარაღოთ აგრესიული ერები, დავაწესოთ მათზე სამხედრო და ეკონომიური კონტროლი და გაერთიანებული ერების კავშირის სახით ვიქონიოთ ორგანო, რომელიც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების საგუშაგოზე იდგომება და რომელსაც უნარი ექნება დაიცვას მშვიდობა და გაუმკლავდეს ახალ აგრესიას. საჭიროა განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, დაუღალავად ვზრუნავდეთ თანამედროვე უახლესი ტექნიკით მათი აღჭურვისა და საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ხუთწლიანი გეგმა, რომელიც უზრუნველჰყოფს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, ამავე დროს განაახლებს საბჭოთა საზოგადოების განვითარების იმ გზას, რომელიც დასახული იყო საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ, მაგრამ დროებით შეწყვეტილ იქნა საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმით. ეს გზა ითვალისწინებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებას და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლას. იგი ითვალისწინებს სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრას—დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურად ე. ი. ერთ სულ მოსახლეობაზე სამრეწველო წარმოების ოდენობის მხრივ. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმა ამ მხრივ შემდგომ ნაბიჯს სდგამს წინ. ჩვენი დროშაა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მეცნიერული კომუნიზმი. ამ დროშით ახალ გამარჯვებებს მოვიპოვებთ კომუნიზმის გზაზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

II.

წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის ზრდის გეგმა

სსრ კავშირის მშვიდობიანი განვითარების ახალი პერიოდის ძირითადი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესაბამისად, ხუთწლიანი გეგმა განსაზღვრავს მატერიალური წარმოების ტემპებსა და დონეს 1946-1950 წლებისათვის.

მრეწველობა

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1950 წელს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის უკანასკნელ წელს, განსაზღვრულია 205 მილიარდი მანეთის ოდენობით (1926-27 წლების ფასებში), ე. ი. ომამდელი დონის 48 პროცენტის გადაჭარბებით, მათ შორის სამრეწველო პროდუქციის წარმოება ოკუპაციისაგან დაზარალებულ რაიონებში 15 პროცენტით გადააჭარბებს ომამდელ დონეს. წარმოების ესოდენ მნიშვნელოვანი აღმავლობის უზრუნველსაყოფად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სოციალისტური მრეწველობის განვითარების სწრაფ ტემპს. თუ 1921-1926 წლების აღდგენით პერიოდში პროდუქციის ყოველწლიური მატება 2.049 მილიონ მანეთს შეადგენდა, პირველ ხუთწლედში—5.478 მილიონ მანეთს, მეორე ხუთწლედში—10.438 მილიონ მანეთს, მესამე ხუთწლედის სამ წელიწადში—14.316 მილიონ მანეთს, 1946-1950 წლების ხუთწლედში საჭიროა უზრუნველვყოთ პროდუქციის აბსოლუტური მატება 15.600 მილიონი მანეთის ოდენობით. ამასთან საწარმოო საშუალებათა წარმოების ზრდის ტემპი რამდენჯერმე უსწრებს მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპს.

შავი მეტალურგიის დარგში, რომლის აღმავლობაც განსაზღვრავს სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, დასახულია თუჯის წარმოების გადიდება 19,5 მილიონ ტონამდე და ფოლადისა 25,4 მილიონ ტონამდე, ე. ი. შავი ლითონის წარმოების ომამდელი დონის გადაჭარბება 35 პროცენტით. შავი მეტალურგიის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის ხუთი წლის განმავლობაში ამოქმედდება 45 ბრძმედი, 180 მარტენის ღუმელი და კონვერტორი, 90 ელექტროღუმელი და 104 საგლინავი დაზგა. ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება იმ ოდენობამდე გადიდდება, რომ ამან უზრუნველჰყოს სახალხო მეურნეობის საჭიროების სრული დაკმაყოფილება ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ხარჯზე. სპილენძის წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით 1,6-ჯერ დიდდება, ალუმინისა 2-ჯერ, მაგნიუმისა 2,7-ჯერ, ნიკელისა 1,9-ჯერ, ტყვიისა 2,6-ჯერ, თუთიისა 2,5-ჯერ, ვოლფრამის კონცენტრატებისა 4,4-ჯერ, მოლიბდენის კონცენტრატებისა 2,1-ჯერ, კალისა 2,7-ჯერ; ასევე მნიშვნელოვანი და უფრო სწრაფი ტემპითაც კი ვითარდება ახალი იშვიათი ლითონების წარმოება.

სათბობის მრეწველობაში ქვანახშირის მოპოვება 1950 წელს დიდდება 250 მილიონ ტონამდე, ანუ ომამდელ დონესთან შედარებით 51 პროცენტით; ქვანახშირის მრეწველობაში თითქმის ახლად იქმნება წარმოების ახალი დარგი—ქვანახშირის გაუხვება და დაბრიკეტება; მთელი კოქსვადი ქვანახშირი, რომლის ნაცრიანობაც 7 პროცენტს აღემატება, და ენერგეტიკული ქვანახშირი, რომლის ნაცრიანობაც 10 პროცენტს აღემატება, მთლიანად გაუხვებულ უნდა იქნას, რაც ამცირებს სათბობის გადაზიდვას და ამაღლებს სათბობის გამოყენების კულტურას; მექანიზმების პარკი ქვანახშირის მრეწველობაში ომამდელ დროსთან შედარებით 3-4-ჯერ დიდდება: ხუთწლედის განმავლობაში ამოქმედდება 183 მილიონი ტონის სიმძლავრის ქვანახშირის შახტები, 184 მილიონი ტონის სიმძლავრის 277 ნახშირგამაუხვებელი ფაბრიკა და წლიურად 10 მილიონი ტონა ბრიკეტის სიმძლავრის 26 ქვანახშირის ბრიკეტის ფაბრიკა. იქმნება და ვითარდება სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობის ახალი დარგები: სინთეზური თხევადი სათბობის წარმოება წელიწადში 900 ათასი ტონის გამომუშავებით და გაზის მრეწველობა წელიწადში 11,2 მილიარდი კუბმეტრი გაზის მოპოვებით. ნავთის მოპოვება დიდდება 35,4 მილიონ ტონამდე, რაც ნიშნავს ომამდელი დონის 14 პროცენტით გადაჭარბებას, ამასთან სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ხვედრითი წონა ნავთის საერთო მოპოვებაში 1940 წლის 12 პროცენტიდან დიდდება 36 პროცენტამდე 1950 წელს.

ელექტროფიკაციის დარგში გათვალისწინებულია ელექტროენერგიის წარმოების გადიდება 82 მილიარდ კილოვატსაათამდე, რაც 70 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს; ჰიდროელექტროენერგიის ხვედრითი წონა ელექტროენერგიის მთელ გამომუშავებაში დიდდება 1940 წლის 10,5 პროცენტიდან 15,2 პროცენტამდე 1950 წელს; ენერგეტიკულ სისტემებში იქმნება სიმძლავრეთა მუდმივი რეზერვები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სახალხო მეურნეობის შეუფერხებელ მომარაგებას ელექტროენერგიით და მაღალი ხარისხის ელექტროენერგიის წარმოებას. ამ მიზნით ხუთი წლის განმავლობაში ამოქმედდება 11,7 მილიონი კილოვატის სიმძლავრის ელექტროსადგურები, მათ შორის 3,3 მილიონი კილოვატის სიმძლავრისა იქნება დიდი და მცირე ჰიდროელექტროსადგურები.

მანქანათმშენებლობაში, რომელსაც წამყვანი როლი ეკუთვნის შემდგომი ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფაში, გათვალისწინებულია 1950 წელს მანქანებისა და მოწყობილობის წარმოების ერთიორად გადიდება ომამდელ დონესთან შედარებით, ხოლო მეტალურგიული მოწყობილობის წარმოება დიდდება 3,7-ჯერ, ავტომობილების წარმოება—500 ათასამდე წელიწადში, ანუ 3,4-ჯერ, ორთქლმავლების წარმოება დიდდება 2,4-ჯერ, ტრაქტორებისა 3,6-ჯერ და ელექტრომოწყობილობისა 2,5-ჯერ. წარმოების ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისა და მართვის ავტომატიზაციის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საცდელ და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა უზრუნველსაყოფად ყოველმხრივ ვითარდება ხელსაწყოთა მშენებლობა, ამასთან ოპტიკურ-მექანიკურ და ელექტროსაზომ ხელსაწყოთა წარმოება 1950 წელს 1940 წელთან შედარებით დიდდება 7-ჯერ.

ქიმიური მრეწველობის დარგში პროდუქციის წარმოება 1950 წელს 1,5-ჯერ დიდდება ომამდელ დონესთან შედარებით; მინერალური სასუქების წარმოება 1950 წელს ომამდელ დონეს გადააჭარბებს ფოსფოროვანი სასუქების დარგში ერთიორად, აზოტოვანი სასუქების დარგში 1,8-ჯერ და კალიუმის სასუქების დარგში 1,3-ჯერ. სინთეზური კაუჩუკის წარმოება დიდდება ერთიორად, ამასთან არასაკვები ნედლეულისაგან დამზადებული კაუჩუკის წილი დიდდება კაუჩუკის მთელი წარმოების 38 პროცენტამდე, ნაცვლად 1940 წლის 1,1 პროცენტისა. ქაღალდის წარმოება დიდდება 1950 წელს 1.340 ათას ტონამდე, ანუ 65 პროცენტით ომამდელ დონესთან შედარებით.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს **ხე-ტყისა და სამშენებლო** მასალების მრეწველობის აღდგენისა და განვითარების სწრაფ ტემპს. მერქნის გამოზიდვა დიდდება 280 მილიონ კუბმეტრამდე, რაც უზრუნველჰყოფს საქმიანი მერქნის გამოზიდვის 59 პროცენტით ზრდას ომამდელ დონესთან შედარებით. ცემენტის წარმოება დიდდება 10,5 მილიონ ტონამდე, ანუ 1,8-ჯერ ომამდელ დონესთან შედარებით, და ფანჯრის მინის წარმოება 80 მილიონ კვადრატულ მეტრამდე, ანუ აგრეთვე 1,8-ჯერ ომამდელ დონესთან შედარებით. იქმნება მრეწველობის ახალი დარგი—საცხოვრებელი სახლების საფაბრიკო წარმოება. ხორციელდება ხე-ტყის დამზადებისა და გამოზიდვის მექანიზაციის პროგრამა, რისთვისაც ფართოდ გამოყენებულ იქნება ელექტროხერხები ხე-ტყის დასამზადებლად, სატრაილო ტრაქტორები ხე-ტყის გამოსატანად, მექანიზებული ავტოტრანსპორტი და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზები დასაცურებელ გზებსა და მაგისტრალურ რკინიგზებზე ხე-ტყის გამოსაზიდავად.

კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოების დარგში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს პროდუქციის მატების ყოველწლიურ ტემპს 17 პროცენტით, იმ ანგარიშით, რომ არა მარტო აღვადგინოთ, არამედ კიდევაც გადავაჭარბოთ ომამდელ დონეს. ბამბეულის ქსოვილების წარმოება დიდდება 4.686 მილიონ მეტრამდე, შალეულისა 159 მილიონ მეტრამდე, აბრეშუმის ქსოვილებისა 141 მილიონ მეტრამდე, ტყავის ფეხსაცმლის წარმოება დიდდება 240 მილიონ წყვილამდე და წინდისა 580 მილიონ წყვილამდე, რაც უზრუნველჰყოფს წარმოების ომამდელი დონის არსებითად გადაჭარბებას; იქმნება მსხვილი მრეწველობა ხელოვნური აბრეშუმისა, რომლის წარმოებაც 4,6-ჯერ დიდდება ომამდელ დონესთან შედარებით. ხორცის პროდუქტების წარმოება დიდდება 1.300 ათას ტონამდე, ერბო-კარაქისა 275 ათას ტონამდე და შაქრისა 2.400 ათას ტონამდე, რაც აგრეთვე აღემატება 1940 წლის წარმოების დონეს.

სამრეწველო წარმოების ზრდის გეგმის შესაბამისად **სსრ კავშირის მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა** ხუთწლედისათვის განისაზღვრება 157,5 მილიარდი მანეთით. საჭიროა 1946-1950 წლების პერიოდში აღვადგინოთ, ავაშენოთ და ავამოქმედოთ 5.900-მდე სახელმწიფო საწარმო, მათ შორის 3.200 საწარმო დაზარალებულ რაიონებში, წვრილი საწარმოები რომ არ ჩავთვალოთ.

კაპიტალური მშენებლობის და ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების პროგრამის უზრუნველსაყოფად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სამშენებლო ინდუსტრიის ყოველმხრივ განმტკიცებასა და განვითარებას და სამშენებლო მანქანების წარმოების გადიდებას.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა ხუთწლედის განმავლობაში შეადგენს 153 მილიარდ მანეთს. მისი განხორციელებისათვის საჭიროა უზრუნველვყოთ სამშენებლო სამუშაოთა ფართო მექანიზაცია, მათ შორის მექანიზებულ უნდა იქნას მიწის სამუშაოები 1950 წლისათვის გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოთა მოცულობის 60 პროცენტამდე, ღორღის მტვრევა 90 პროცენტამდე, ბეტონის დამზადება 95 პროცენტამდე და ხსნარებისა 90 პროცენტამდე, ბეტონის წყობა 60 პროცენტამდე და სამღებრო სამუშაოები 50 პროცენტამდე.

სამამულო ომის პერიოდში ჩვენმა მშენებლებმა ისწავლეს უფრო სწრაფად და მომჭირნედ შენება. მაგრამ ეს ტემპი და სამუშაოთა ღირებულება ამჟამად ჩვენთვის მიუღებელია. საჭიროა ვაშენოთ კიდევ უფრო მომჭირნედ და უფრო შემჭიდროებულ ვადებში. ამისათვის საჭიროა:

ჯერ-ერთი, აღვკვეთოთ „გიგანტომანია“ მშენებლობაში და აღმოვფხვრათ გადამეტებულობა ტექნიკურ პროექტებში;

მეორე — ვაშენოთ ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, რომლებსაც შემკვეთლები და მენარდენი ერთმანეთთან უნდა ამოწმებდნენ და რომლებიც ეკონომიური უნდა იყოს;

მესამე — სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა ჰყავდეთ მუდმივი კადრები, აგრეთვე უნდა ჰქონდეთ საკუთარი დამხმარე საწარმოები სამშენებლო მასალებისა და მექანიზმების წარმოებისათვის.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს შრომატევადი პროცესების **ყოველმხრივ მექანიზაციას,** განსაკუთრებით შავი მეტალურგიის, ხე-ტყისა და სათბობის მრეწველობის დარგში, და მეტი წარმადობის მოწყობილობის დადგმას, იმ ანგარიშით, რომ მივაღწიოთ წარმოების ომამდელ დონეს და გადავაჭარბოთ მას შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერებით. სსრ კავშირის მთელი მრეწველობისათვის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს შრომის მექანიზაცია, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენება და წარმოების შემდგომი ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 1946-1950 წლების პერიოდში **შრომის ნაყოფიერების** გადიდებას მრეწველობაში ომამდელ დონესთან შედარებით 36 პროცენტით, რაც მიღწეულ უნდა იქნას მუშათა ტექნიკური შეიარაღების დაახლოებით ერთნახევარჯერ ზრდის, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ფართო პროგრამის განხორციელებისა და რვასაათიანი სამუშაო დღის სრული გამოყენების გზით. დიდ სახალხო სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების ომამდელი დონის აღდგენა და შემდგომი ზრდა აღსადგენ საწარმოებში, სადაც ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ საშუალოდ მთელს მრეწველობაში ერთ მშრომელზე გამომუშავების ომამდელ დონეს. წარმოების მექანიზაციის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების საფუძველზე დაზარალებული რაიონების აღსადგენ საწარმოებში მშრომელთა რაოდენობის არსებობისას უკვე უახლოეს პერიოდში შეიძლება გავზარდოთ წარმოება არა ნაკლებ, ვიდრე 1,5-ჯერ. ეს ჩვენი რეზერვებია და ისინი უნდა გამოვიყენოთ.

სახალხო მეურნეობის განვითარების ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისა და შრომის მექანიზაციის საფუძველს წარმოადგენს განვითარებული მანქანათმშენებლობა, აღჭურვილი საკმაო რაოდენობის მაღალნაყოფიერი დაზგებით. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სსრ კავშირში ლითონმჭრელი დაზგების რაოდენობის გადიდებას 1.300 ათასამდე, რაც, დაახლოებით, 30 პროცენტით აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების სადაზგო პარკს 1940 წელს. ამაში არის სსრ კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობისა და შემდგომი ტექნიკური პროგრესის უდიდესი საფუძველი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

წარმოების ფართო მექანიზაციასა და ელექტროფიკაციასთან ერთად საჭიროა უზრუნველვყოთ სამუშაოები **ტექნიკისა** და წარმოების **ახალი დარგების** განსავითარებლად. ამას ეკუთვნის: მაგარი სათბობის გაზიფიკაცია და ენერგოქიმიური გამოყენება, რაც ცვლის სათბობის უდიდესი რაოდენობით გადაზიდვას გაზის გადაცემით მილებში და ელექტროენერგიისა მავთულებით; ელექტროტექნოლოგიის გამოყენება მსუბუქი და ფერადი ლითონების, ლეგირებული ფოლადის, ქიმიური პროდუქტების წარმოებაში და ლითონდამუშავებაში; სინთეზური პროდუქტების — ხელოვნური თხევადი სათბობის, სინთეზური კაუჩუკისა და პლასტიკური მასების, ხელოვნური ბოჭკოს და ტყავის და სინთეზური სპირტის წარმოება; ჟანგბადის დანერგვა წარმოების სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესებში, პირველ რიგში მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაში; მაღალი ძაბვის მუდმივი ელექტროდენის გადაცემა დიდ მანძილზე, რომლის დარგშიც განზრახულია სამეცნიერო-ექსპერიმენტულ სამუშაოთა ჩატარება და ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელების დაწყება; თანამედროვე ხელსაწყოების წარმოება, კერძოდ, რადიოლოკაციის დარგში, და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობაში; სამუშაოები რეაქტიული ტექნიკის განსავითარებლად, ახალი ტიპის ძრავთა გამოყენება, რომლებიც ჰქმნიან ახალ სიჩქარეებს და სიმძლავრეებს; სამუშაოები შიდაატომური ენერგიის საკითხების გამოსაკვლევად მრეწველობისა და ტრანსპორტის ინტერესებისათვის.

შემდგომი ტექნიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად საჭიროა გავაფართოოთ და შევქმნათ ახალი ექსპერიმენტული საწარმოები, საკონსტრუქტორო ბიუროები და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, მატერიალურად ყოველმხრივ წავაქეზოთ მეცნიერთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა მეცნიერული და საგამომგონებლო მუშაობა.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის დარგში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღდგენას და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას, რათა გადაჭარბებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ომამდელი დონე მთლიანად სსრ კავშირში. სოფლის მეურნეობის სწრაფი აღდგენისა და შემდგომი განვითარების მიზნით უზრუნველყოფილია კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება. თუ სოფლის მეურნეობის 1932 წლის (პირველი ხუთწლედი) **საერთო პროდუქციას** 100 პროცენტად მივიღებთ, 1937 წელს (მეორე ხუთწლედი) იგი შეადგენს 153 პროცენტს, 1940 წელს (მესამე ხუწლედი) — 177 პროცენტს, ხოლო 1950 წელს, ე. ი. ომისშემდგომი ხუთწლედის უკანასკნელ წელს, შეადგენს 225 პროცენტს.

მარცვლეული კულტურების ხაზით ხუთწლედის ბოლოს **მარცვლეულის** საერთო **მოსავალი** დიდდება 127 მილიონ ტონამდე, ე. ი. 1940 წლის დონეს გადააჭარბებს 7 პროცენტით, რაც უზრუნველჰყოფს სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებას და პურის საჭირო რეზერვებს ჩვენს ქვეყანაში. **ტექნიკური კულტურების** ხაზით შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი დიდდება 26 მილიონ ტონამდე, ანუ 22 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს, ნედლი ბამბის მოსავალი — 3,1 მილიონ ტონამდე, ანუ 25 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს, საბოჭკოე სელის — 0,8 მილიონ ტონამდე, ანუ 39 პროცენტით აღემატება 1940 წლის დონეს და მზესუმზირას მოსავალი დიდდება 3,7 მილიონ ტონამდე, ანუ 11 პროცენტით აღემატება ომამდელ დონეს. ხუთწლიანი გეგმა ნათესი ფართობების გადიდებასთან ერთად ითვალისწინებს სწორი თესლბრუნვის აღდგენასა და შემდგომ ათვისებას, თესლბრუნვაში ბალახთესვის გამოყენებას და ნარევბალახეულის, პარკოსანი (განსაკუთრებით სამყურისა და იონჯის) და მარცვლოვანი მრავალწლიანი ბალახების ფართო გამოყენებას, აგრეთვე ანეულის დროული ხვნისა და კარგი დამუშავების უზრუნველყოფას. მნიშვნელოვნად უმჯობესდება მრავალწლიანი ბალახების დარგში სასელექციო და სამეთესლეო მუშაობა იმ მიზნით, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შესძლოს უზრუნველჰყოს თავისი მოთხოვნილება თესლისა მიღებული თესლბრუნვის შესაბამისად; მარცვლეულის, მარცვლეულ-პარკოსანი, ზეთოვანი და სხვა კულტურების ნათესები უზრუნველყოფილია მაღალხარისხოვანი სელექციური და გაუმჯობესებული შერჩეული ადგილობრივი ჯიშების თესლით; მარცვლეული კულტურების ხაზით გათვალისწინებულია მთლიან ჯიშთა ნათესებზე გადასვლის დამთავრება ჯიშთა დარაიონების გეგმის შესაბამისად.

მეცხოველეობის დარგში ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მსხვილფეხა რქიანი საქონლის, ცხვრის, თხისა და ღორის ომამდელი სულადობის აღდგენასა და გადაჭარბებას და უზრუნველჰყოფს ხუთი წლის განმავლობაში ცხენის სულადობის 46 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი საქონლისას — 39 პროცენტით, ცხვრისა და თხისას—75 პროცენტით და ღორისას ერთისამად გადიდებას 1945 წელთან შედარებით. კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა მატულობს 25,9 მილიონ სულამდე, ანუ 29 პროცენტით აღემატება 1940 წლის დონეს, ცხვრისა და თხის სულადობა — 68,1 მილიონ სულამდე, ანუ 62 პროცენტით აღემატება, და ღორისა — 11,1 მილიონ სულამდე, ანუ 35 პროცენტით აღემატება 1940 წლის დონეს. გათვალისწინებულია პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდება, უწინარეს ყოვლისა, მტკიცე საკვები ბაზის შექმნით თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებით, რისთვისაც უნდა მოეწყოს პირუტყვის მეტიზაცია მაღალპროდუქტიული ჯიშიანი მწარმოებლებით. დასახულია აგრეთვე პირუტყვის ჯიშების შემდგომი გაუმჯობესება ყველაზე პროდუქტიული ცხოველების შერჩევის გზით.

სოფლის მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობისათვის **ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მინერალური სასუქის** მიწოდების მნიშვნელოვან გადიდებას. სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორების მიწოდება (პირობითი 15-ძალიანი ტრაქტორები) ხუთწლედის განმავლობაში შეადგენს 720 ათას ტრაქტორს, ნაცვლად 512 ათასი ტრაქტორისა მეორე ხუთწლედში. სოფლის მეურნეობისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდება ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს (1926-27 წლის უცვლელ ფასებში) 4,5 მილიარდ მანეთს, ნაცვლად 1,9 მილიარდი მანეთისა მეორე ხუთწლედში, რომლის პერიოდშიც მიღწეული იყო სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების წარმოების ყველაზე მაღალი დონე. ეწყობა გაუმჯობესებული კონსტრუქციების სასოფლო-სამეურნეო მანქანების და ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება, რათა მექანიზებულ იქნას ტექნიკური, საკვები, ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის მოყვანის სამუშაოები, ეწყობა აგრეთვე მანქანების წარმოება მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოთა მექანიზაციისათვის. სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქის (აზოტიანი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქის) წარმოება და მიწოდება ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს დაახლოებით 17 მილიონ ტონას, ნაცვლად 8,7 მილიონი ტონისა მეორე ხუთწლედში. ხუთწლიანი გეგმა სავსებით უზრუნველჰყოფს ტექნიკური კულტურების მოთხოვნილებას მინერალური სასუქის მხრივ, აგრეთვე სხვა კულტურების, განსაკუთრებით ბოსტნეულისა და კარტოფილის, სასუქის მნიშვნელოვან გადიდებას. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს **სარწყავი ფართობების** მატებას 656 ათასი ჰექტარით და დასაშრობი ფართობებისას—615 ათასი ჰექტარით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მექანიზაციის განხორციელებასთან ერთად უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების **ელექტროფიკაციის** საქმე. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სოფლებში 1 მილიონი კილოვატი სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას, რაც უზრუნველჰყოფს არა მარტო მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, არამედ მრავალი ათასი კოლმეურნეობის ელექტროფიკაციას.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

8 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 8 მარტი (საკდესი). 8 მარტს ტრიბუნალის დილის სხდომის დასაწყისში თავმჯდომარე ლორდი ლოურენსი აცხადებს ტრიბუნალის გადაწყვეტილებას რამდენიმე საკითხის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან დაცვის მუშაობის მოწყობასთან. შემდეგ შუამდგომლობით მოწმეთა დამატებითი გამოწვევისა და დოკუმენტების გამოთხოვნის შესახებ გამოვიდნენ ბრალდებულ კაიტელის დამცველი ადვოკატი ნელტე და ბრალდებულ როზენბერგის დამცველი ადვოკატი ტომა. ამის შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ბრალდებულ გერინგის დამცველ შტამერს.

თავისი მასალების წარდგენამდე შტამერი შუამდგომლობს მთელი რიგი მოწმეების დამატებითი გამოწვევის შესახებ. ამის შემდეგ იგი გადადის ბრალდებულ გერინგის დასაცავად მასალების წარდგენაზე.

დამცველი მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ ვერსალის ხელშეკრულება გერმანიისათვის სავალდებულო არ არის სამართლის თვალსაზრისით. ამასთან იგი აქვეყნებს მარშალ ფოშის მიერ გამოთქმული აზრების, პოლ-ბონკურისა და ლოიდ ჯორჯის სიტყვების და განსაკუთრებით ვერსალის ხელშეკრულების გამო ლორდ როტერმირის ლიტერატურული გამოსვლების ამონაწერებს.

ამ ამონაწერთა ციტირების დროს ბრალმდებელი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ჯექსონი დამცველს სიტყვას აწყვეტინებს და ტრიბუნალის ყურადღებას მიაქცევს ადვოკატის მიერ ტრიბუნალის გადაწყვეტილებათა პირდაპირ დარღვევას, რაც იმით გამოიხატა, რომ ადვოკატმა შტამერმა გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც წინათ სასამართლომ გამორიცხა დაცვის მასალებიდან, როგორც ისეთნი, რომლებიც საქმეს არ შეეხებიან.

თავმჯდომარე აფრთხილებს დამცველ შტამერს და სხვა დამცველებს, რომ მათ უნდა შეასრულონ ტრიბუნალის მითითებანი და არ წაიკითხონ დოკუმენტები, რომლებიც ტრიბუნალმა გამოსაქვეყნებლად არ დაუშვა.

შემდეგ დამცველი თავის გამოსვლაში სადავოდ სთვლის ლოკარნოს პაქტს, რისი დარღვევაც ბრალად ედება ბრალდებულ გერინგს. დამცველი ამთავრებს თავისი გამოსვლის ამ ნაწილს და ტრიბუნალს სთხოვს ნება დართოს ჯვარედინი დაკითხვისათვის გამოწვეულ იქნას მოწმე — გერმანიის ყოფილი სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალი კარლ ბოდენშატცი. მოწმე იყო გერინგის ადიუტანტი და გერინგსა, როგორც გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალსა, და ჰიტლერის ბანაკს შორის კავშირგაბმულობის ოფიცრის მოვალეობას ასრულებდა.

სხდომის დარბაზში მცველებით შემოჰყავთ ბოდენშატცი.

დაწესებული ფიცის მიღების შემდეგ მოწმე უპასუხებს დამცველის კითხვებზე და ლაპარაკობს ბრალდებულ გერინგთან თავის შეხვედრებზე და თავის, როგორც გერინგის ადიუტანტის მუშაობაზე.

მოწმე განაგრძობს ჩვენების მიცემას და ამბობს, რომ გერინგის გავლენა ჰიტლერზე თითქოს მხოლოდ 1943 წლის დასაწყისში შეირყა გერმანიის ქალაქებზე მოკავშირეთა სამხედრო-საჰაერო ძალების დიდ თავდასხმებთან დაკავშირებით, და რომ ამის შემდეგ გერინგმა, მიუხედავად მთელი მისი ცდებისა, უკვე ვეღარ შესძლო თავისი ავტორიტეტის აღდგენა ჰიტლერის თვალში.

კარლ ბოდენშატცი ამბობს, რომ მისი ცნობებით, გერინგი სხვადასხვა თათბირზე თითქოს გამოსთქვამდა აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა მშვიდობიანი გზით მოგვარდეს დაძაბული ურთიერთობა ინგლისსა და გერმანიას შორის და რომ თითქოს გერინგმა არაფერი არ იცოდა ებრაელთა დევნის შესახებ.

მაგრამ, როგორც მოწმის შემდგომი ჩვენებიდან ირკვევა, გერინგი „სამშვიდობო აზრების გამოთქმასთან" ერთად წინასწარ სწონიდა გერმანიის სხვადასხვაგვარ შესაძლებლობას ომის მოგების შემთხვევაში და დამარცხების შემთხვევაში. რაც შეეხება გერმანიის შეიარაღებას, მოწმის სიტყვით, გერინგი ფიქრობდა, რომ ეს შეიარაღება საშუალებას მისცემდა გერმანიას მონაწილეობა მიეღო „დიდ პოლიტიკაში".

გერინგის აგრესიულ განზრახვას ეგრეთწოდებული ოთხწლიანი გეგმის განხორციელების დროს მოწმე ხსნის გერინგის მისწრაფებით „უზრუნველეყო გერმანიისათვის ის ნედლეული, რომლის შემოტანაც მას არ შეეძლო ან რომლის შემოტანაც არ შეიძლებოდა რაიმე კონფლიქტის შემთხვევაში".

დამცველი ეკითხება მოწმეს, რა გარემოებებში ელაპარაკებოდა მას გერინგი სსრ კავშირის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაზე. მოწმე აჩვენებს, რომ 1941 წლის ბოლოს, რუსეთის კონტრდარტყმების შემდეგ, გერინგი ამბობდა, რომ იგი არ ფიქრობდა, თუ შესაძლებელი იქნებოდა ასეთი კონტრდარტყმები, და რომ იგი, გერინგი, თითქოს ომამდე ცდილობდა ჰიტლერისათვის უარი ეთქმევინებინა რუსეთზე თავდასხმის მისი გეგმის განხორციელებაზე.

ამერიკელი ბრალმდებელი ჯექსონი მოწმეს აძლევს მთელ რიგ კითხვებს, რომლებიც დაკავშირებულია მიუნხენის მოლაპარაკებასთან. თურმე, იმ დროს, როდესაც ჰიტლერთან ახლდა რიბენტროპი, გერინგს თავის მხრივ სურდა თან წაეყვანა ნოირატი, და ჰიტლერმა დაუკმაყოფილა ეს სურვილი. ამის შემდეგ ბრალმდებელი ჯექსონი უბრუნდება გერინგის თათბირს ინგლისელ მეურნეთა ჯგუფთან, რაც მოწმემ ახსენა დამცველის მიერ მისი დაკითხვის დროს. ჯვარედინი დაკითხვის დროს მოწმეს წამოსცდა, რომ გერინგის დამცველმა, ადვოკატმა შტამერმა არათუ წინასწარ მოუმზადა მას მთელი რიგი კითხვები და პასუხები, არამედ აცნობა ცალკე ფაქტებიც კი, რომელთა შესახებაც მოწმეს უნდა განეცხადებინა სასამართლოში.

შემდგომი კითხვებით ბრალმდებელი ცდილობს გაიგოს მოწმისაგან თუ როდის დაიწყო პირველად გერმანიამ მზადება ჯარის ნაწილების გადასაყვანად პოლონეთის მიმართულებით, დაესწრო თუ არა მოწმე კონფერენციას, რომელიც მიუნხენის მოლაპარაკების დამთავრებისთანავე შესდგა და რომელზეც გერინგმა შეკრებილთ აცნობა, რომ მან მიიღო ბრძანება ერთიხუთად გაადიდოს გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები, და იცოდა თუ არა მოწმემ, რომ მიუნხენის შემდეგ გერმანიის საჰაერო ძალები მართლაც რამდენჯერმე გადიდდა.

ამით მთავრდება ტრიბუნალის დილის სხდომა.

8 მარტის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 8 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 8 მარტის საღამოს სხდომის დასაწყისში მთავარმა ბრალმდებელმა სსრ კავშირისაგან ამხ. რუდენკომ წარმოადგინა ცნობა, რომ დამცველთა საჩივრების მიუხედავად, მის მიერ დიდი ხანია გადაცემულია საბჭოთა ბრალდების დოკუმენტი გერმანელების ბოროტმოქმედებათა შესახებ კატინის ტყეში.

შემდეგ მთავარი ბრალმდებელი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ჯექსონი განაგრძობს მოწმე ბოდენშატცის დაკითხვას.

არკვევს რა გერინგსა და ჰიტლერს შორის ეგრეთწოდებული განხეთქილების დეტალებს, რომლის ფაქტის დამტკიცებასაც ცდილობს დამცველი, ბრალმდებელი არკვევს, რომ არავითარი განხეთქილება 1945 წლის გაზაფხულამდე, ე. ი. გერმანიის დამარცხებამდე, ფაქტიურად არ ყოფილა.

ბრალმდებლის შემდგომ შეკითხვებზე მოწმის პასუხებისაგან ირკვევა, რომ მრავალრიცხოვან სამხედრო თათბირებზე გერინგს არასოდეს არ გამოუთქვამს რაიმე აზრი ჰიტლერის წინააღმდეგ, პირიქით, ოფიცრებისა და გენერლების სახელით არწმუნებდა ჰიტლერს, რომ ლოიალურად დაუჭერდა მხარს ჰიტლერის ყველა გეგმას და მზად იყო ყოველივე შესაძლებელი გაეკეთებინა ამ გეგმების შესასრულებლად.

ბრალმდებელი შეკითხვას აძლევს, როგორ გამოეხმაურნენ ჰიტლერი და გერინგი, როცა მათ მოახსენეს როტერდამის, ვარშავისა ან კოვენტრის დაბომბვის შესახებ. მოწმე იმიზეზებს ცუდ მეხსიერებას, მაგრამ იქვე ამტკიცებს, რომ ვარშავას იმიტომ ბომბავდნენ, თითქოს იგი „სიმაგრე" იყო, როტერდამს იმიტომ, რომ იგი „წინააღმდეგობას" ეწეოდა, კოვენტრის იმიტომ, რომ იქ იყო საავიაციო საწარმოები.

შემდეგ, როცა ბრალმდებელმა მოიყვანა ბოდენშატცის ჩვენებანი, რაც მან ამერიკელ გამომძიებელს მისცა, მოწმემ აღიარა, რომ ინციდენტები პოლონეთ-გერმანიის საზღვარზე, რაც წინ უძღოდა პოლონეთზე გერმანიის თავდასხმას, მოწყობილი იყო გერმანიის მიერ. იქვე მოწმე აღიარებს, რომ მისი რწმენით ჰიტლერს სურდა ომი პოლონეთთან და ცდილობდა გვერდი აეხვია პოლონეთ-გერმანიის დავის მშვიდობიანად მოწესრიგებისათვის.

ბრალმდებელი უჩვენებს მოწმეს იმ თათბირის ჩანაწერს, რომელიც ჩაატარა გერინგმა 1936 წლის 2 დეკემბერს. ეს ჩანაწერი შესრულებულია მოწმის ხელით, რასაც იგი აღიარებს ტრიბუნალის წინაშე. იგი შეიცავს გერინგის პირდაპირ მითითებას — დაწყებულ იქნას ომისათვის დაუყოვნებლივი მზადება და ამუშავდეს ყველა საავიაციო ქარხანა იმგვარად, როგორც მათ უნდა იმუშაონ მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ.

ლაპარაკობს რა ებრაელთა დარბევებზე გერმანიაში 1938 წლის 9-10 ნოემბერს, მოწმე ამის გამო მთელ დანაშაულს აკისრებს ჰაიდრიხსა და გებელსს, ცდილობს რა დასახოს გერინგი თითქოს „ებრაელების კეთილისმყოფელად". როცა ბრალმდებელი ეკითხება, რატომ მოაწერა ხელი ამ „კეთილისმყოფელმა" ბრძანებას ებრაელებისაგან 10 მილიარდი მარკის კონფისკაციის შესახებო, მოწმე კვლავ იმიზეზებს ცუდ მეხსიერებას.

ამის შემდეგ ინგლისის ბრალდების წარმომადგენელი გრიფიტს ჯონსი მოწმეს რამდენიმე შეკითხვას აძლევს გერინგის შეხვედრის შესახებ თვალსაჩინო ინგლისელ მრეწველებთან 1939 წლის აგვისტოში. მოწმე აზუსტებს, რომ ეს ინგლისელები არ იყვნენ მთავრობის წევრები, მაგრამ, გერინგის სიტყვით, გავლენით სარგებლობდნენ ინგლისის მმართველ წრეებში. ეს შეხვედრა მოწყობილი იყო შვედ დალერუსის მიერ, რომელიც გერინგის სახელით მოქმედებდა.

ბოდენშატცის დაკითხვის დამთავრების შემდეგ დარბაზში შემოჰყავთ დაცვის სხვა მოწმე გენერალ-ფელდმარშალი მილხი. თავის ჩვენებაში ის დიდხანს ლაპარაკობს მისი და გერინგის ერთობლივი ღონისძიებების შესახებ — შეექმნათ მძლავრი ავიაცია. იგი ამტკიცებს, რომ ძალაუფლების სათავეში ჰიტლერელთა ჩადგომამდე გერმანიას უაღრესად სუსტი ავიაცია და სუსტად განვითარებული საავიაციო მრეწველობა ჰქონდა. ჰიტლერელებმა შექმნეს კოლოსალური საჰაერო ფლოტი. 1939 წლის 23 მაისს ჰიტლერთან შემდგარ თათბირზე მოწმემ გაიგონა, როგორ ჰქონდათ განზრახული ამ ფლოტის გამოყენება. ამ თათბირზე ლაპარაკი იყო პოლონეთზე თავდასხმის შესაძლებლობის შესახებ.

შტამერის შეკითხვაზე — როდის შეიტყო პირველად მოწმემ საბჭოთა კავშირზე ჰიტლერის მიერ თავდასხმის მზადება, მილხი უპასუხებს, რომ ეს მოხდა 1941 წლის გაზაფხულზე. ჩაიხედა რა თავის შენიშვნებში, მან გაასწორა და განაცხადა, რომ პირველად ეს შეიტყო 1941 წლის 13 იანვარს გერინგისაგან.

შტამერის შემდეგ მოწმის დაკითხვას აწარმოებს გერმანიის გენერალური შტაბისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის დამცველი ლატერნზერი.

საღამოს სხდომა იხურება თავმჯდომარის განცხადებით, რომ ტრიბუნალის შემდეგი სხდომა შესდგება 11 მარტს დილით.

11 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 11 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის დღევანდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა დაცვის მოწმის, გერმანიის არმიის გენერალ-ფელდმარშალ მილხის ჯვარედინი დაკითხვა. დილის სხდომის პირველ ნაწილში მოწმეს დაჰკითხავდნენ გერმანიის გენერალური შტაბისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის დამცველი, აგრეთვე ბრალდებულების შპეერის, იოდლის, კალტენბრუნერისა და რედერის დამცველები.

დილის სხდომის მეორე ნახევარში მოწმე მილხის დაკითხვას შეუდგა მთავარი ბრალმდებელი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ჯექსონი.

ბრალმდებლის კითხვებზე გაცემული პასუხებიდან ირკვევა, რომ მოწმე მილხი აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალთა მშენებლობაში.

ბრალმდებელი: მიიღეთ თუ არა ჰიტლერული მთავრობისაგან რაიმე ჯილდო თქვენი სამსახურისათვის?

მოწმე: 1942 წელს მე მივიღე მთავრობის მადლობის გამოხატულება.

ბრალმდებელი: რა სახისა იყო ეს მადლობა?

მოწმე: ეს იყო ფულადი ჯილდო. ამ ფულით მამული შევიძინე.

დაკითხვის მსვლელობაში მოწმე მილხი აცხადებს, თითქოს გერმანია მომზადებული არ იყო ომისათვის და თითქოს საბრალდებო სკამზე ყველა მჯდომისათვის ომი დიდი მოულოდნელობა იყო. მაგრამ მთელი რიგი კითხვებით ბრალმდებელი ჯექსონი მოწმე მილხს სიცრუეში იჭერს და სრულიად აქარწყლებს მილხის ზღაპარს იმის შესახებ, რომ ომი მოულოდნელი იყო ბრალდებულის სკამზე მჯდომი ფაშისტი დამნაშავეებისათვის.

ბრალმდებელი: რა დრო დასჭირდა გერმანიის შეიარაღებულ ძალებს პოლონეთში შესაჭრელად?

მოწმე: უკაცრავად, პოლონეთის დასაპყრობად. ამისათვის საკმაო იყო თვრამეტი დღე.

შემდეგ მილხი ამბობს, რომ ჰიტლერელები აგრეთვე სწრაფად გაუსწორდნენ საფრანგეთს, ბელგიას, ჰოლანდიას, დანიასა და ნორვეგიას.

ბრალმდებელი: და თქვენ, ოფიცრად ნამყოფი, აჩვენებთ, რომ გერმანია მზად არ იყო ამ იერიშებისათვის?

ამის შემდეგ მოწმე მილხი აღიარებს, რომ ჰიტლერელები წინასწარ მოემზადნენ მეზობელ ქვეყნებზე თავდასხმისათვის.

ომისათვის საჰაერო ფლოტის მზადების შესახებ მოწმე მილხმა აჩვენა, რომ ბრალდებული გერინგი ამაზე მას ელაპარაკებოდა ჯერ კიდევ 1932 წელს. გერინგმა მაშინ მილხს უთხრა, რომ ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის ჩადგომა გერმანიას შესაძლებლობას მისცემს კვლავ შეიარაღდეს და, ამრიგად, მოემზადოს ახალი ომისათვისო.

მოწმე მილხის შემდგომი დაკითხვიდან ირკვევა, რომ გერმანიის ოფიცრობა კარგად იყო ინფორმირებული ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებთა მონური შრომისათვის გერმანიაში ძალით გარეკვის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ჰიტლერელი შეთქმულები სამხედრო ტყვეებს აიძულებდნენ სამხედრო მრეწველობაში ემუშავნათ.

მოწმე მილხმა, მას შემდეგ, რაც უჩვენეს მის მიერ ხელმოწერილი ორი დოკუმენტი, აგრეთვე აღიარა, რომ ბრალდებულ გერინგის უწყება ველურ ექსპერიმენტებს ეწეოდა ადამიანებზე და რომ ამ „ცდებს" ეწეოდნენ ჰიმლერის უწყებასთან ერთად. მოწმე მილხმა აჩვენა აგრეთვე, რომ ოფიცრობამ, მათ შორის უმაღლესმა ოფიცრობამ, იცოდა საკონცენტრაციო ბანაკების არსებობა და ის საშინელებანი, რაც ამ ბანაკების ეკლიან მავთულს იქით ხდებოდა. კერძოდ, მილხს შეეძლო ამაში პირადად დარწმუნებულიყო, როდესაც ჰიმლერის ნებართვით მან ინახულა საკონცენტრაციო ბანაკი დახაუში. ჯექსონი უბრუნდება დაკითხვის პირვანდელ თემას—ომისათვის მზადებას და მოაგონებს მილხს წინასწარი დაკითხვის დროს მის მიერ მიცემულ ჩვენებას. ამ დაკითხვაზე მილხს ჰკითხეს, გრძნობდნენ თუ არა ის გენერლები, რომლებთანაც იგი თანამშრომლობდა 1939 წლამდე, რომ ჰიტლერის მიერ არჩეული გზა ომს გამოიწვევდა. მილხმა მიუგო, რომ იმათ ვისაც ფიქრი შეეძლო, ეს ესმოდათ.

მოწმე მილხის დაკითხვის განგრძობა გადატანილ იქნა საღამოს სხდომაზე.

11 მარტის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 11 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 11 მარტის მთელი საღამოს სხდომა მოუნდა ამერიკის, ინგლისისა და საბჭოთა ბრალდების წარმომადგენლების მიერ დაცვის მოწმის მილხის დაკითხვას.

მილხმა, გერინგის ყოფილმა უახლოესმა თანამშრომელმა, რომელიც დაცვამ იმისათვის გამოიწვია, რომ ჩვენება მიეცა ბრალდებულ გერინგის სასარგებლოდ, ფაქტიურად აღიარა გერინგისადმი წაყენებული თითქმის ყველა ბრალდება. მილხი ყოველნაირად ცდილობდა გვერდი აეხვია „არასასიამოვნო კითხვებისათვის", მოკიბულ-მოკიბულ პასუხს იძლეოდა, ცუდ მეხსიერებას იმიზეზებდა, მაგრამ ფაქტები ისეთი იყო, რომ მოწმე თანდათანობით იძულებული გახდა გამოემჟღავნებინა არა მარტო გერინგი, არამედ გერმანიის გენერალიტეტიც, რომლის წარმომადგენელიც თვითონ არის.

საღამოს სხდომის დასაწყისში ჯექსონმა, რომელიც მილხის დაკითხვას აწარმოებდა ამერიკის ბრალდების სახელით, გამოარკვია, რომ მოწმე იყო წევრი დაგეგმვის ცენტრალური ბიუროსი, რომელიც გერმანიის სამხედრო მრეწველობის ცალკეულ დარგებს შორის ანაწილებდა არა მარტო ნედლეულის რესურსებს, არამედ მუშახელსაც. ოქმებიდან სჩანს, რომ სწორედ მილხმა გერინგის დასტურით შეიტანა წინადადება გამოეყენებინათ სს... შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. მილხი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მას ცუდი არაფერი ჰქონია მხედველობაში, მაგრამ ბოლოსდაბოლოს აღიარა, რომ საქმე ეხებოდა რეპრესიებს. სს-ელები იჭერდნენ მუშებს და საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდნენ.

მილხი, რომელიც გერინგის ნებას გამოხატავდა, იმის ინიციატორი იყო, რომ სამხედრო ტყვეები სამუშაოდ გამოეყენებინათ სამხედრო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. მას შემდეგ, რაც სამხედრო ტყვეები მობილიზებულ იქნენ სამხედრო მრეწველობაში, მილხმა გამოიყენა „ნაცადი წესი" მათი შრომის ნაყოფიერების გადიდებისა სს-ის ზემოქმედების საშუალებით.

დაგეგმვის ცენტრალური ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე, როგორც ბრალმდებელი საბუთებით არკვევს, მილხმა წინადადება წამოაყენა გამოეყენებინათ საზენიტო არტილერიაში საბჭოთა სამხედრო ტყვეები.

გერმანულ კატორღაში ახალგაზრდა ფრანგი მუშების გარეკვა რომ გაემართლებინა, მილხმა ფრიად ორიგინალური განმარტება მოიგონა. მისი სიტყვით, საფრანგეთში პარტიზანული მოძრაობის განვითარების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო ყველა ახალგაზრდა ფრანგი მუშის გერმანიაში წაყვანა.

მოტყუებით ან ძალდატანებით გერმანიაში ჩაყვანილი უცხოელი მუშები აშკარად არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ. სწორედ ამიტომ დაგეგმვის ცენტრალურმა ბიურომ, მილხის წინადადებით, გადასწყვიტა გაეგზავნა ცუდად მომუშავეთა სიები „ჰიმლერის საიმედო ხელში". ბრალმდებლის შეკითხვაზე, რა მეთოდებით შეეძლო ჰიმლერს აეძულებინა ადამიანები კარგად ემუშავნათ, მილხი ყოველნაირი აბდაუბდის ჩმახვას იწყებს.

ბრალმდებელი მოაგონებს მოწმეს, რომ იგი უჰიმლეროდაც საკმაოდ ძლიერ საშუალებებს პოულობდა, რათა ზეგავლენა მოეხდინა უცხოელ მუშებზე. ჯექსონი აქვეყნებს მილხის განცხადებას, სადაც იგი დასჯით ემუქრებოდა გერმანიის საწარმოთა ხელმძღვანელებს, ოსტატებსა და ზედამხედველებს, თუ ისინი სასტიკ ზომებს არ მიიღებდნენ უცხოელი მუშების წინააღმდეგ. მილხი იმუქრებოდა, რომ საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნიდა ყოველ გერმანელს, რომელიც ებრაელებს გაუწევდა მფარველობას. მას ეკუთვნის შემდეგი განცხადება: „ორმა რუსმა ოფიცერმა თვითმფრინავით გაქცევა სცადა, მაგრამ ავარია განიცადა. მე ბრძანება გავეცი ორივენი დაუყოვნებლივ ჩამოეხრჩოთ. გუშინ მათ ჩამოახრჩობდნენ ან დახვრეტდნენ. მე სურვილი გამოვთქვი, რომ ისინი ქარხანაში ჩამოეხრჩოთ სხვებისათვის ჭკუის სასწავლებლად. მე მინდა, რომ ეს იცოდეს საწარმოს ყველა ხელმძღვანელმა".

ბრალდების ინგლისელი წარმომადგენელი რობერტსი, იწყებს რა მოწმის დაკითხვას, მოაგონებს, რომ 8 მარტს მილხი ლაპარაკობდა გერმანიის საჰაერო ძალების თავდაცვითი ხასიათის შესახებ. რობერტსს მოჰყავს ციტატი გერინგის 1935 წლის მაისის განცხადებიდან, რომელშიც ნათქვამია: „მე განზრახული მაქვს შევქმნა ისეთი საჰაერო ძალები, რომლებიც ელვასავით დაატყდებიან თავს მოწინააღმდეგეს, თავს დაესხმიან მას და ყველაფერს გაანადგურებენ". ბრალმდებელი ეკითხება: „ჰგავს თუ არა ეს თავდაცვითს ხასიათს?"

„არა,—უპასუხებს მილხი,—ეს არ ჰგავს თავდაცვითს ხასიათს, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ განსხვავება სიტყვასა და საქმეს შორის".

ბრალმდებელი კითხულობს გერინგის კიდევ ერთ ასეთსავე ყოყოჩა განცხადებას. მოწმე კვლავ აღიარებს, რომ ეს ეწინააღმდეგება მის ლაყბობას გერმანიის ავიაციის „თავდაცვითი" ხასიათის შესახებ და რომ ეს ავიაცია შეტევისათვის ემზადებოდა და არა თავდაცვისათვის.

მოწმე ცდილობს გვერდი აუხვიოს პასუხს შეკითხვაზე 50 ინგლისელი მფრინავის დახოცვის შესახებ, რომლებიც ზემო სილეზიის ბანაკიდან გაიქცნენ, მაგრამ შემდეგ აღიარებს, რომ „ეს მკვლელობა იყო".

ადამიანის ტემპერატურის დაწევის იმ დანაშაულებრივი „ცდების" გარემოებათა გამორკვევის შემდეგ, რომლებსაც საკონცენტრაციო ბანაკებში მოწმის დავალებით აწარმოებდნენ, დაკითხვას იწყებს მთავარი ბრალმდებელი სსრ კავშირისაგან ამხ. რუდენკო.

ამხ. რუდენკოს შეკითხვაზე, როდის შეიტყო მოწმემ, რომ ჰიტლერი გეგმავდა ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მოწმე უპასუხებს, რომ მან ეს შეიტყო 1941 წლის 6 იანვარს. გერინგმა თითქოს განუცხადა მას, რომ ჰიტლერი ვითომც მოელოდა საბჭოთა კავშირის თავდასხმას გერმანიაზე. მოწმეს ჩვენება ერევა, როდესაც მას კვლავ ეკითხებიან გერინგთან ამ საუბრის გარემოებათა შესახებ. იგი აღიარებს, რომ ეს საუბარი 30 იანვარს შესდგა.

ბრალმდებელი: როდის განიხილეთ საკითხი გერინგთან და როდის სთქვა მან, რომ არ სურს რუსეთთან ომი?

მოწმე: ეს იყო 1941 წლის 22 მაისს.

ბრალმდებელი: და თქვენ ამტკიცებთ, რომ გერინგს რუსეთთან ომი არ სურდა?

მოწმე: მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

ბრალმდებელი: რატომ არ სურდა გერინგს ომი რუსეთთან, ესე იგი იმ ქვეყანასთან, რომელიც, როგორც იგი ირწმუნებოდა, გერმანიაზე თავდასხმისათვის ემზადებოდა? (სიცილი დარბაზში).

მოწმე: გერინგი უარყოფითად უყურებდა ასეთ ომს (სიცილი დარბაზში).

ბრალმდებელი: იქნებ უფრო ზუსტად გვეტყვით, რატომ არ სურდა გერინგს რუსეთთან ომი?

მოწმე: იგი უარყოფითად უყურებდა ორ ფრონტზე ომს, ხოლო განსაკუთრებით რუსეთთან ომს. მე ვფიქრობ, რომ არა მარტო მე, არამედ ბევრ სხვა ჯარისკაცსაც ესმოდა ეს.

ბრალმდებელი: პირადად თქვენც რუსეთთან ომის წინააღმდეგი იყავით?

მოწმე: დიახ, უეჭველად, მე რუსეთთან ომის წინააღმდეგი ვიყავი.

ბრალმდებელი: თქვენი ახსნა დამაჯერებელი არ არის. თქვენ ამტკიცებთ, ლაპარაკი იყო გერმანიაზე რუსეთის თავდასხმის შესახებ, მაგრამ გერინგს და სხვა ყოფილ ოფიცრებს რუსეთთან ომი არ სურდათო.

მოწმე: ნება მიბოძეთ განვმარტო. გერინგმა მაცნობა, ჰიტლერი იმ თვალსაზრისის არის, რომ რუსეთს სურს გერმანიას ეომოსო. ეს იყო არა გერინგის და არა ჩემი აზრი, ეს იყო ჰიტლერის აზრი.

ბრალმდებელი: მაშასადამე, არც გერინგს და არც თქვენ ჰიტლერის ეს აზრი არ გჯეროდათ?

მოწმე: მე მხოლოდ ჩემს თავზე შემიძლია ვილაპარაკო. მე ამის შესახებ ვლაპარაკობდი ჩემს მახლობელთა წრეში და ახლაც ვიმეორებ: მე არ მჯეროდა, რომ რუსეთი ჩვენზე თავდასხმას აპირებდა.

ამხ. რუდენკო გადადის გერმანიის საზენიტო არტილერიაში საბჭოთა სამხედრო ტყვეების გამოყენების გარემოებათა გამორკვევაზე. მოწმე დარცხვენილად ახასიათებს გერმანიის უმაღლესი სარდლობის ამ მოქმედებას, როგორც „ულამაზო საქციელს". მოწმემ თავი აარიდა პასუხს ბრალმდებლის შეკითხვაზე, მეტისმეტად რბილად ხომ არ მიგაჩნიათ ეს დახასიათებაო.

ამით იხურება საღამოს სხდომა.

ბულგარეთის სახალხო კრებამ მიიღო კანონი აგრარული რეფორმის შესახებ

სოფია, 15 მარტი. (საკდესი). 12 მარტს სახალხო კრებამ ერთხმად მიიღო კანონი მიწის შრომითი საკუთრების (აგრარული რეფორმის) შესახებ, რომელიც პირველ ადგილზეა მოთავსებული იმ კანონთა ნუსხაში, რაც რეგენტების სეფე სიტყვაში მოხსენებული.

კანონის განხილვის პროცესში შეტანილ იქნა მცირეოდენი ცვლილებანი, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია: იმ პირებისათვის, რომლებიც უშუალოდ არ ამუშავებენ მიწას, საკუთრება განსაზღვრულია 30 დეკარით ოჯახზე (დეკარი უდრის ათას კვადრატულ მეტრს), ხოლო დობრუჯის რაიონებში—50 დეკარით; განსასხვისებელი მიწის ფასის განსაზღვრის ბაზად დადგენილია მიწის 1935 წლის შეფასება, გამრავლებული ექვსჯერ, ამასთან დეკარი მიწის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 10 ათას ლევს, მაგრამ არც ათას ლევზე ნაკლები უნდა იყოს.

პრესის დემოკრატიული ორგანოების თანამშრომელთა გასამართლება სტამბოლში

ანკარა, 12 მარტი. (საკდესი). 9 მარტს შესდგა სასამართლოს სხდომა პრესის დემოკრატიული ორგანოების რედაქტორთა და თანამშრომელთა—ზექერია სერტელის, საბიჰა სერტელის, ჯამი ბაიკურტის და დერდიუნჯიუს საქმის გამო. სხდომაზე საბრალდებო სიტყვა წარმოსთქვა პროკურორმა; მან მოითხოვა პატიმრობა მიესაჯოთ ბრალდებულთ საგაზეთო სტატიების გამოქვეყნებისათვის, რომლებშიც ავტორები მოითხოვდნენ ანტიდემოკრატიულ კანონთა გაუქმებას. სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების თანახმად, რომლებიც პროკურორმა დაიმოწმა, ბრალდებულთ მოელით პატიმრობა 5 წლამდე ვადით.

თემთა პალატაში შეიტანეს შეკითხვა ინგლისში ფაშისტური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ

ლონდონი, 13 მარტი. (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). ფაშისტური „ფხიზელთა მოქმედების ბრიტანული ლიგის" მიერ ალბერტ ჰოლში მიტინგის მომზადებასთან დაკავშირებით, ლეიბორისტმა დრაიბერგმა 13 მარტს თემთა პალატაში შინაგან საქმეთა მინისტრს ჰკითხა, იცის თუ არა მან ეს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ ლიგის პროპაგანდა მნიშვნელოვანწილად იდენტურია უკანასკნელ ომში მტრის პროპაგანდისა, და, რამდენადაც ამას შეუძლია გამოიწვიოს მშვიდობის დარღვევა, განზრახული აქვს თუ არა მინისტრს მიიღოს ზომები, რათა თავიდან აცილებულ იქნას ეს დემონსტრაცია?

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ოლივერმა წერილობით პასუხში განაცხადა, რომ „შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება არა აქვს ხელი შეუშალოს მიტინგების მოწყობას, მიუხედავად იმისა, რომ მას არ მოსწონს მათი მიზნები".

ლეიბორისტმა დეპუტატმა ქალმა ბრედოკმა თემთა პალატის ყურადღება მიაპყრო დრაიბერგის შეკითხვას, რომელიც დღის წესრიგში დგას. მან აღნიშნა, შეკითხვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საჭიროა გაცემულ იქნას სიტყვიერი პასუხი პალატაშიო. ვინაიდან შეკითხვებისათვის განკუთვნილი დრო უკვე გავიდა, სიტყვიერი პასუხის გაცემის ნებართვა მიცემულ არ იქნა. დრაიბერგი ამაოდ ცდილობდა შეეტანა წინადადება იმის შესახებ, რომ ეს საკითხი გადაეტანათ მომავალ სხდომაზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი განხილვა. სპიკერმა სთქვა, არ შემიძლია დრაიბერგის წინადადების მიღებაო.

მდგომარეობა საბერძნეთში

ათენი, 14 მარტი. (საკდესი). პოლიციის მთავარმა სამმართველომ გამოსცა ბრძანება, რომლითაც აკრძალულია პოლიტიკური დემონსტრაციები და კრებები ღია ადგილებში. კრებები დახურულ შენობებში შეიძლება გამართულ იქნას მხოლოდ პოლიციის განსაკუთრებული ნებართვით. აკრძალულია აგრეთვე ფურცლებისა და მოწოდებათა გაკვრა, რომლებიც არჩევნებს ეხებიან. ეს ბრძანება გამოცემულ იქნა მას შემდეგ, რაც მემარცხენე პარტიებმა მიიღეს გადაწყვეტილება მთელ საბერძნეთში მოაწყონ საპროტესტო მიტინგები ყალბი არჩევნების ჩატარების წინააღმდეგ. პრემიერ-მინისტრმა სოფულისმა განაცხადა, რომ ეს აკრძალვანი გამოწვეულია როგორც წესრიგის დაცვის მოსაზრებით, ისე იმ ფაქტით, რომ მიტინგების მომწყობი პარტიები არჩევნებში არ მონაწილეობენ.

ამავე დროს გამოცხადდა, რომ გაფიცულების მიმართ გამოყენებულ იქნება მეტაქსასის ფაშისტური კანონი გაფიცვის მონაწილეთა მობილიზაციის უფლების შესახებ. ეს კანონი ითვალისწინებს, რომ გაფიცულნი მიცემულ იქნან სამხედრო სამართალში, როგორც დეზერტირები. ათენის ელექტროსადგურში მომავალ გაფიცვასთან დაკავშირებით მობილიზებულად გამოცხადებულია სადგურის 47 ინჟინერი, ტექნიკოსი და მექანიკოსი.

ლიბანის მთავრობა არ სცნობს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას ლიბანიდან ჯარების ევაკუაციის საკითხზე

ბეირუთი, 11 მარტი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ლიბანიდან ჯარების ევაკუაციის საკითხის ინგლის-საფრანგეთის კომისიამ პარიზში გადასწყვიტა ლიბანიდან ევაკუაცია დამთავრებულ იქნას 1947 წლის 1 აპრილისათვის. ინგლისის ჯარების ევაკუაცია დამთავრდება ამა წლის 30 ივნისს. განზრახულია საფრანგეთის ჯარები ლიბანიდან სამ ვადაში გაიყვანონ. პირველი ეტაპის განმავლობაში, რომელიც 1946 წლის 31 მარტს დამთავრდება, ევაკუირებულ იქნება ერთი ათასი კაცი. ევაკუაციის მეორე ეტაპი დამთავრდება მიმდინარე წლის 31 აგვისტოს და მესამე—1947 წლის 1 აპრილს.

ბეირუთი, 12 მარტი. (საკდესი). ბეირუთის გაზეთ „რაუადის" ცნობით, ორი მთავრობის—სირიისა და ლიბანის მთავრობათა მოლაპარაკების დროს 10 მარტს შტორაში (ლიბანი) მიღებულ იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება ლიბანის დელეგაციას პარიზში გაეგზავნოს შემდეგი ინსტრუქცია: 1) ლიბანი არა სცნობს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას ლიბანიდან ჯარების ევაკუაციის საკითხზე იმის გამო, რომ იგი ამ შეთანხმებაში მონაწილეობას არ იღებდა. 2) ლიბანის დელეგაციამ მოლაპარაკება უნდა აწარმოოს როგორც ინგლისის, ისე საფრანგეთის ჯარების რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში ერთდროული ევაკუაციის შესახებ. 3) იმ შემთხვევაში, თუ ეს პირობები მიღებულ არ იქნა, ლიბანის დელეგაცია უნდა გაემგზავროს ნიუ-იორკს და ეს საკითხი განსახილველად წარუდგინოს უშიშროების საბჭოს.

დამთავრდა გაფიცვა „ჯენერალ ელექტრიკის" საწარმოებში

ნიუ-იორკი, 15 მარტი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, „ჯენერალ ელექტრიკის" კომპანიამ და საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალმა ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირმა გამოაცხადეს, რომ მათ მიაღწიეს შეთანხმებას ხელფასის მომატების შესახებ; ამრიგად, დამთავრდა გაფიცვა, რომელიც ორ თვეს გრძელდებოდა და რომელმაც 100 ათასი მუშა მოიცვა. მაგრამ ვიდრე ხელფასის მომატება ძალაში შევიდოდეს, იგი უნდა დაამტკიცონ კავშირის წევრებმა და ხელფასის სტაბილიზაციის მთავრობის სამმართველომ.

ჰოლანდიაში გაათავისუფლეს ცნობილი ფაშისტი ქალები

ჰააგა, 15 მარტი. (საკდესი). ამას წინათ საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოუშვეს ცნობილი ფაშისტი ქალები — ჰოლანდიელი ხალხის გამცემლების მუსერტისა და რეიტერის ცოლები. პრესაში დაიბეჭდა საპროტესტო ცნობები ამ ქალების განთავისუფლების წინააღმდეგ. მწვავე პროტესტი გამოიწვია ცნობილი ამსტერდამელი ფაშისტის რეიტერის ცოლის განთავისუფლებამ. იგი 1943 წლამდე ხელმძღვანელობდა ქალთა ფაშისტურ ორგანიზაციას და მუსერტის ერთგული თანამშრომელი იყო.

ვენეცია-ჯულიაში ჯარის ახალი ნაწილები ჩავიდნენ

რომი, 15 მარტი. (საკდესი). გაზეთ „ჯორნალე დელა სერას" კორესპონდენტი იუწყება, რომ ვენეცია-ჯულიის ზონაში, რომელიც ოკუპირებულია ინგლის-ამერიკის ჯარების მიერ, ფრიულიდან და კრემონიდან გადაყვანილია იტალიის ორი დივიზია. მესამე დივიზიას უახლოეს ხანში მოელიან. გარდა ამისა, ამ ზონაში ჩავიდა ინგლისისა და ამერიკის 300 ტანკი. ტრიესტს ჩადიან ინგლისის ახალი სამხედრო გემები.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

18 მარტს, საღამოს 8 საათზე შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

18 მარტს, საღამოს 7 საათზე, საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ანტიკური ეპოქის მონათმფლობელური სახელმწიფო საქართველოში".**

სემინარს ჩაატარებს ამხ. მესხია.

19 მარტს, საღამოს 8 საათზე, ინტელიგენციისათვის შესდგება აკადემიკოს **ბერძენიშვილის** ლექცია თემაზე: **„თამარ მეფის ეპოქა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

სემინარი

18 მარტს, საღამოს 5 საათზე, ნავთლუღის რკინიგზის კვანძის აგიტატორებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„სააგიტაციო მუშაობის ფორმები და მეთოდები".**

სემინარს ჩაატარებს ამხ. **ნოლიანისი.**

თეატრებში

17 მარტს: სახელმწიფო ოპერა—„რიგოლეტო". **რუსთაველის სახელობის**—„ინსპექტორი მოდის". **მარჯანიშვილის სახელობის**—„ბაგრატიონი". **გრიბოედოვის სახელობის**—„მელიები". **მუსიკალური კომედიის** — „სილვა". **სანკულტურის** — „სტუმარ-მასპინძლობა". **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ადვოკატი პატლენი". **რუსული**—„ორი ბატონის მსახური". **თოჯინების ქართული**—„ალადინის ჯადოსნური ლამპარი".

კინოებში

17 მარტს: რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი და 26 კომისრის სახელობის—„დავით გურამიშვილი". **დამკვრელი**—„სილვა". **კომკავშირელი**—„უმზითვო". **სპარტაკი** — „შვეიკის ახალი მოგზაურობა". **ლუქსემბურგის სახელობის**—„არშინ მალ-ალან".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 4 აპრილს, დღის 2½ საათზე, სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც ბიოლოგიური ქიმიის კათედრის დოცენტი **ივანე გრიგოლის-ძე ნანავა** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ფოსფატიდების ქოლესტერინისა და ასკორბინის მჟავას როლი სისხლის შედედებაში—ჰირუდინიზებასთან დაკავშირებით".**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **გ. ცქიმანაური,** ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ვლადიმერ ასათიანი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ა. აბულაძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16) დილის 9-დან საღამოს 10 საათამდე.

დირექცია

მოქალაქე **გიორგი ვლადიმერის-ძე ჩარაშიანმა,** მცხოვრებმა აზერბაიჯანის სსრ სოფელ ბერიაშენში, აღძრა საქმე ქ. თბილისში, ვახუშტის ქ. № 8 მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ნიკოლოზის-ასულ ქუთათელაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **თინა გიორგის-ასულმა დონჟაშვილმა,** მცხოვრებმა ლენინის ქ. № 85, აღძრა საქმე არაგვის ქ. № 17 მცხოვრებ მოქალაქე **მიხეილ ნიკოლოზის-ძე ბუბულოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ეკატერინე შვილებით იუწყება **ივანე არუთინოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 19/III, 5 ს.

ხელოვნების საქმეთა სამმართველო იუწყება სომხური თეატრის ცნობილი მოღვაწის, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ სახალხო არტისტის **ისაკ სიმონის-ძე ალიხანიანის** გარდაცვალებას.

სატყეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება ყვარლის სატყეო მეურნეობის დირექტორის **ვლადიმერ (ლადო) ალექსანდრეს-ძე მუმლაურის** გარდაცვალებას.

ოჯახი იუწყება **ივანე პავლეს-ძე გიგოლაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 19/III, 5½ ს. კოჩუბეევის, 20.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00133